# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 23 სექტემბერი 2006 №220 (2842) ფასი 50 თეთრი


# საქართველო გერმანელებს ორმაგად დაუამხანაგდა

## ჰანზა ბუნდესნაკრებამდე



გერმანიის ნაკრებთან 7 ოქტომბრის შეხვედრამდე ჩვენი ეროვნული გუნდი როსტოკში კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს — მეტოქე ადგილობრივი მეორებუნდესლიგელი „ჰანზა“ იქნება. შეხვედრა, სავარაუდოდ, 5 ოქტომბერს შედგება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი კი იმ ფეხბურთელებს ათამაშებს, რომლებსაც დისკვალიფიკაციისა თუ სხვა მიზეზთა გამო იტალიასთან 11 ოქტომბრის შესარჩევი მატჩისთვის ვერ დაიხმარს და ალბათ არც გერმანელებთან ათამაშებს.

სწორედ ამის გამო ტოპმიოლერი ერთკვირიან გერმანულ შეკრებაზე 26-27 ფეხბურთელის გამოძახებას აპირებს. მათ შორის, სავარაუდოდ, „კრივბასის“ ლიდერი ვასილ გიგიაძე, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ფორვარდი ირაკლი მოდებაძე, „შინიკის“ ალეკო ამისულაშვილი და „მიუნხენ 1860“-ის მათე ღვინიანიძე იქნებიან... ტოპმიოლერი საბოლოო შემადგენლობას ნაუქმევს გამოაცხადებს, ხოლო იქამდე ხვალ-ზეგინდელ საკლუბო მატჩებში ფეხბურთელებს ერთხელაც დააკვირდება.

შეგახსენებთ, ჩვენები როსტოკში 3 ოქტომბერს შეიკრიბებიან, იტალიასთან სათამაშოდ იქ მოემზადებიან და თბილისში 8 ოქტომბერს დაბრუნდებიან.

საქართველოსთვის „ჰანზასთან“ გაჯიბრება სარგო იქნება — ტოპმიოლერი მისთვის ჯერაც უცნობ ფეხბურთელებზე წარმოდგენას შეიქმნის და მომდევნო მატჩებში ეგებ პირველსავე ტაიმში აღარ დასჭირდეს შეცვლების გამოყენება.

მაშ ასე, საქართველო გერმანიაში: 5 ოქტომბერი — „ჰანზა“, 7 ოქტომბერი — გერმანიის ნაკრები.

**კობა ინასარიძე**

## დევისის თასი 2006 ევროაფრიკული ზონის II ჯგუფი. ბუდაპეშტი

### უნგრეთი 2:0 საქართველო

**სებო კიში — ირაკლი ლაბაძე 6:1 6:3 2:6 6:4**

**კორნელ ბარდოცკი — ლადო ჩიხლაძე 6:4 6:7 6:1 6:2**

# გუშინ: ქართველებისთვის დუნაის წყალიც ჩაილურისა იყო

შანსი იმისა, რომ საქართველოს სადევისთასო ნაკრებმა გაისად ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ითამაშოს, გუშინდელი დღის შემდეგ იოტისოდენა გახდა. გულდასაწყვეტია, მაგრამ ასეა — თბილისში საკმაოდ მძლავრი სამხრეთაფრიკელებისა და სტუმრად ამბიციური პოლონელების დამარცხების შემდეგ გაცილებით სუსტ უნგრელებთან პირველი სათამაშო დღე ჩვენებისთვის 0:2 დასრულდა.

ირაკლი ლაბაძე ATP-ის რეიტინგის 166-ე ნომერია და 820-ე საფეხურზე მყოფ სებო კიშთან უზარმაზარი გამოცდილებითაც დაიკვეხნის. ირაკლის დევისის თასზე აქამდე ჩატარებული 13 საერთეულო მატჩიდან 12 მოგებული ჰქონდა და ის ერთიც ამ გაზაფხულზე ხუთსეტიან თრილერში წააგო რეიტინგში გაცილებით მაღლა მდგომ სამხრეთაფრიკელ ვესლი მუდთან.

ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ახლა ლაბაძეს წაგებათა გრაფაში უკვე 2 უწერია და რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს ორიანი ვიღაც უცნობმა სებო კიშმა შემოხაზა.

ლაბაძის მარცხის ფონზე ლადო ჩიხლაძის წაგება თითქოს ლოგიკურიცაა, რადგან ის უნგრელთა პირველ ნომერთან დამარცხდა, მაგრამ რეიტინგს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჩიხლაძე 466-ე ადგილზეა, ხოლო მისი მძლეველი კორნელ ბარდოცკი — 550-ეზე.

კი ბატონო, დევისის თასი სულ სხვა შეჯიბრია და ძალზე ხშირად ის არ ცნობს კლასიფიკაციის ზემო-ქვემოობას. ისიც სათქმელია, რომ უნგრეთში პოლიტიკური სიტუაცია ძალზე გამწვავებულია და ამ ფონზე მასპინძლების მოტივაცია იქნებ გაათმაგებულიც იყოს, მაგრამ უნგრელები პოლიტიკური ამინდის ცვალებადობით ქართველებთან რას მოვლენ; ჩვენ გაცილებით მეტი და უარესი გადაგვიტანია და სწორედ ამიტომ უფრო დანატრებულნი ვართ გამარჯვებებს...

თუმცა, ვინ იცის... დევისის თასს ახსოვს ასეთი რამეები, როდესაც პირველი დღის შემდეგ უიმედოდ ჩამორჩენილი გუნდი მაინც იგებდა მატჩს.

დღეს წყვილთა შეხვედრაა — ლაბაძისა და ჩიხლაძის დუეტი ბარდოცკისა და დიერდ კიშდეორდის დაუპირისპირდება და დევისის თასის ერთი დაუწერელი კანონი ისიც გახლავთ, რომ წყვილთა თამაშის მომგები მთელ მატჩსაც იგებს.



[illegible] ფოტო

# დღეს: ყველაფერი შეიძლება მოხდეს

# იტალიასთან მოგება გვინდა

## ჯაბა კანკავა: უკრაინამ ჩემი შეცდომით გაიხარა

ეს წინა სეზონში იყო, ჯაბა კანკავა კიევის „არსენალის“ ძირითადში საფუძვლიანად რომ ვერ მკვიდრდებოდა, ახლა კი საქართველოს ნაკრების 20 წლის საყრდენი ნახევარმცველი „მეთოფეთა“ ლიდერად იქცა და მიმდინარე სეზონში ორი გოლიც შეაგდო — აქედან ერთი ბოლო ტურში „სტალთან“. კანკავას საკლუბოზე მეტად, ცხადია, სანაკრებო ამბები ვკითხეთ: ბუნებრივია, ჯაბას გული სწყდება საფრანგეთთან და უკრაინასთან წაგებებზე, მაგრამ იმასაც ამბობს, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ, ეს კი შედეგზეც მალე აისახებაო...



ჯაბა კანკავა (№22) „უკრაინულ“ შეცდომას აღიარებს და იტალიას ელის

— საფრანგეთზე აღარ გკითხავ, მაგრამ უკრაინასთან წაგებამ ძალიან დაალონა ჩვენი გულშემატკივრები. რას იტყვი იმ თამაშზე?

— უკრაინელებს ვაჯობეთ, მაგრამ შეცდომებმა დაგვღუპა. სტანდარტული სიტუაციებისას უკეთ რომ გვეთამაშა, უეჭველად მოვიგებდით. განსაკუთრებით საკუთარ თავზე ვამბობ — მესამე გოლი ხომ ჩემი ბრალი იყო.

— კლაუს ტოპმიოლერმა ამ შეცდომისთვის რამე გითხრა?

— არა, ტოპმიოლერს არაფერი უთქვამს. ისედაც ყველამ იცოდა, რომ ჩემი ბრალი იყო. საკუთარ შეცდომას ჩემზე უკეთ ვინ მიხვდება... დამწუხრებული ვიყავი, არ უნდა წაგვეგო.

— ტოპმიოლერმა თქვა და ისედაც ჩანს, რომ ნაკრები მატჩიდან მატჩამდე უმატებს. გამოდის, იტალიასთან უფრო კარგად ითამაშებთ?

— ტოპმიოლერს აბსოლუტურად ვეთანხმები. ის მართლაც ძლიერი მწვრთნელია და პირველ რიგში მისი დამსახურებაა, რომ ადრინდელთან შედარებით უკეთ ვთამაშობთ. რაც შეეხება იტალიას, დარწმუნებული ვარ, არც ერთი ჩვენთაგანი არ შეუშინდება მეტოქის სახელს. ყველანი იმედით და მოსაგებად გავალთ მინდორზე.

— „არსენალში“ რა გითხრეს თანაგუნდელებმა უკრაინასთან მატჩის შემდეგ?

— ყველა ამბობდა, ყოჩაღ ქართველებს, თამაშით აშკარად გვაჯობესო. ჩვენ ნაკრებს პროგრესს ყველა ატყობს.

— „არსენალი“ შარშანდელივით გავარდნის კანდიდატი აღარაა. ჩემპიონატი კარგად დაიწყეთ და უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებთ?

— ვცდილობთ და რა გამოვა, ვნახოთ. აქ კიევის „დინამო“ და „შახტარი“ სხვებზე ათი თავით მაღლა დგანან, თორემ დანარჩენი გუნდები თითქმის თანაბარი დონისანი არიან და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ფოფხაძეს ეტოოს აგენტი ჰყავს

## ვიბორგში ვარ, მაგრამ მაინც ჰართსს ვუმიზნებ



„თბილისის“ და ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის მარცხენა მცველი გიორგი ფოფხაძე წინა სეზონში ათენის „ოლიმპიაკოსში“ მივიდა, თუმც კონტრაქტის გაფორმება არ მოხერხდა და მომდევნო სეზონისთვის ფოფხაძე სხვა უცხოურ კლუბში მოწყობას შეეცადა. ფოფხაძით შოტლანდიური „ჰართსი“ დაინტერესდა, თუმც ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა ჩვენებურს სამუშაო ვიზა არ მისცა და ფოფხაძე შოტლანდიიდან გერმანიაში, მეორე ბუნდესლიგის „ბურგჰაუზენში“ აღმოჩნდა, სადაც სეზონისწინა მატჩებში თავი ურიგოდ არ წარმოაჩინა, თუმც ტრანსფერი აქაც ვერ გამოვიდა. ახლა კი ფოფხაძე დანიური „ვიბორგის“ წევრია და ჩვენც დანიაში დავუკავშირდით...

— მაქაურ სიტუაციაზე რას იტყოდი?

— „ვიბორგი“ წინა სეზონში მეოთხე ადგილზე გავიდა, ეს სეზონი კი ცუდად დაიწყო, მეათე ადგილზე ვართ. „ვიბორგში“ კიდევ ორი ლეგიონერია — შვედეთის ნაკრების მეკარე და ნიგერიის ნაკრების ფორვარდი. დანიის ჩემპიონატი საკმაოდ კარგი დონისაა. აქაურობას კარგად ვეგუები და ჯერჯერობით ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

— „ბურგჰაუზენში“ „ჰართსის“ მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმა გამიშვა, ის და „ბურგჰაუზენის“ მწვრთნელი მარკუს შუპი მეგობრები არიან. არ ვიცი, რა მოლაპარაკება იყო მათ შორის. „ბურგჰაუზენიდან“ წამოსვლა რომ მომიწია, „ვიბორგი“ ჩემმა აგენტმა ტიმ სანდერსმა გამომიძებნა. იგი საკმაოდ ცნობილი კაცია საფეხბურთო წრეებში, სამუელ ეტოოს აგენტიცაა. „ვიბორგთან“ ხუთთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. ჩემთვის ახლა მთავარია, კარგ ფორმაში შევიდე, ნაკრებში გამომიძახონ და სანაკრებო მატჩების ის რაოდენობა დავაგროვო, რითაც ბრიტანეთში, „ჰართსში“ თამაშს შევძლებ. ივანაუსკასს ხშირად ველაპარაკები ტელეფონით.

— დანიის ჩემპიონატში დებიუტი როდის გექნება?

— ახლახან დანიის თასზე ვითამაშე შეცვლაზე და საგოლე პასი გავაკეთე. ასე რომ, ჩემპიონატის უახლოეს მატჩებშიც ველოდები დებიუტს.

**დავით თავართქილაძე**





# ჯაკობიამ 2006 წელი დაასრულა

**თუკი** რომელიმე ქართველ ფეხბურთელზე შეიძლება ითქვას, ტრავმებმა გააწამაო, პირველი ალბათ ლაშა ჯაკობიაა. ის 18 წლისაც არ იყო, პირველად სერიოზულად რომ დაშავდა და მას შემდეგ სრული სეზონი ხეირიანად არ ჩაუტარებია.

ახლაც ასეა. გეხსომებათ, ჯაკობიამ საფრანგეთთან სანაკრებო მატჩის წინ მუხლის ტრავმა მიიღო და ვერც „მამლებთან“ და ვერც უკრაინელებთან ვერ ითამაშა. ლაშა სულაც ახალ წლამდე ვერ გავა მოედანზე — მუხლის ოპერაცია გაიკეთა გერმანიაში...

**ილია ნანოგაშვილი**

## ინგლისი

ჩემპიონატი. IX ტური

პრესტონი 1:0 ბარნსლი

კონფერენსლიგა. XI ტური

კემბრიჯი 2:0 ალდერშოტი

## გერმანია

ბუნდესლიგა. V ტური

გლადბახი 1:0 დორტმუნდი

II ბუნდესლიგა. V ტური

ბრაუნშვაიგი 2:2 კარლსრუე

ფრაიბურგი 3:3 ფიურტი

ლაუტერნი 4:3 კობლენცი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა IX ტური

ლიუბეკი 2:3 ფორტუნა

ვილჰელმშავენი 0:1 კილი

სამხრეთ რეგიონალლიგა IX ტური

პფულენდორფი 1:1 მიუნხენი (მ)

ზიგენი 4:1 კიკერსი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. IX ტური

ბასტია 4:1 ნიორი

კაენი 1:0 ტურსი

გენიონი 0:2 დიჟონი

ისტრი 1:3 ამიენი

რეიმსი 1:0 გენგამი

გრენობლი 2:0 აიაჩო

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. V ტური

ბრედა 0:0 ტილბურგი

II დივიზიონი. VIII ტური

აპელდორნი 3:0 დენ ბოსხი

გრააფსხაპი 0:1 როზენდალი

ეინდჰოვენი 1:4 ემენი

ვოლენდამი 3:0 კამბური

იგლსი 1:2 ტელსტარი

ჰაარლემი 1:1 სიტარდი

მაასტრიხტი 1:1 ალმერე

ვენლო 6:2 ჰელმონდი

## ბელგია

იუპილერლიგა. VII ტური

შარლერუა 1:1 ანდერლეხტი

## პორტუგალია

სუპერლიგა. IV ტური

პორტუ 3:0 ბეირა მარი

ფერეირა — ბენფიკა

*გვიან დამთავრდა*

## ავსტრია

I დივიზიონი. X ტური

აუსტრია (ლ) 0:0 კერნტენი

აუსტრია (მ) 3:2 ლუშტენაუ

გრატკორნი 1:1 ადმირა

ლინცერი 1:0 კაპფენბერგი

ლეობენი 1:2 შვანენშტადტი

პარნდორფი 1:1 ჰარტბერგი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. VIII ტური

კონკორდია 1:0 ვილი

## თურქეთი

სუპერლიგა. VII ტური

ძონია 0:1 ფენერბაჰჩე

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

ბოჰემიანსი 3:1 უოტერფორდი

დროჰედა 1:1 ბრეი

შელბურნი 2:2 დერი

დუბლინი 1:1 კორკი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. VIII ტური

ვორსკლა 1:1 დინამო

## პოლონეთი

I ლიგა. VIII ტური

ვისლა 2:0 ვიძევი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. VII ტური

დიოშდიორი 1:2 ვაშაში

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 7 ტური



ჩემპიონატის ლიდერი „ამერი“ მოქმედ ჩემპიონ „სიონს“ სტუმრობს



დიდი შანსია, „ზესტაფონი“ „დინამოს“ გიორგი განუგრავას (შუაში) გარეშე დაუხვდეს

# შვიდია, მაგრამ სამია

## ბოლნისი — თბილისი — ზესტაფონი: აქ მოხდება, თუ მოხდება

დღეს მეშვიდე ტურია და, ჩვეულებრივ, შვიდი მატჩია, მაგრამ ამ შვიდიდან სამი ისეთია, ყველაფერს რომ იტევს. საიდან დავიწყოთ? ზესტაფონიდან, ბოლნისიდან თუ თბილისიდან? არც ერთი არ გვემეტება ჩრდილში დასაყენებლად და გამორჩევაც ძალიან გვიჭირს...

**სიონი — ამერი**

ეს გუნდები, ცხადია, წინა სეზონშიც შეხვდნენ ერთმანეთს და თასის ნახევარფინალში თუ „ამერმა“ იძალა, ჩემპიონატში ბოლნისელებმა მოიგეს ორივე თამაში. ახლა კი სხვა დროა: გიორგი ჩიხრაძის გუნდი რომ გაცილებით შედეგიანია, ამას ცხრილიც ამტკიცებს და თამაშის ხარისხიც — „ყვითლები“ ქულადაუკარგავად მიჰქრიან, „სიონი“ კი წლეულს რომელ ძლიერ გუნდსაც ეთამაშა, ყველასთან წააგო: „ვიტ ჯორჯიასთან“, „ოლიმპთან“ და „დინამოსთან“.

ამერელებს გამოუჯანმრთელდათ დავით ბოლქვაძე, რომელმაც ნაყოფიერად ჩაატარა წინა მატჩები და, სავარაუდოდ, ყოფილ კლუბსაც დააბნევს ჩვეული მოხდენილი პასებით და გაძრომა-გამოძრომებით. გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს წინა ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან“ გამარჯვების გოლის გამტანი რატი წინამძღვრიშვილი, თუმცა მისი თამაში სათუოა.

რა შეიძლება ჩაითვალოს „სიონის“ მთავარ პლუსად? ისევ და ისევ „თამაზ სტეფანია“, სადაც ქვემოქართლელებს წინა სეზონში ერთხელაც არ წაუგიათ, მაგრამ მიმდინარეში უკვე ორჯერ დამარცხდნენ.

**ზესტაფონი — დინამო**

ასეთი ცუდი სტატისტიკა თბილისის „დინამოს“ არც ერთ მეტოქესთან არ აქვს. წარმოიდგინეთ, ბოლო შვიდი შეხვედრიდან თბილისელებმა ერთხელაც ვერ მოუგეს ფერიელებს, აქედან ოთხჯერ კი წააგეს.

როგორ არ ვთქვათ ზურაბ იონანიძის ფაქტორზეც — „იონა“ „დინამოს“ მტარვალად იქცა. ალბათ, თვითონაც ვერ ითვლის, იმდენი გოლი გაუტანია ქართული ფეხბურთის ფლაგმანის კარში.

სავარაუდოდ, თემურ მახარაძე ვერ ათამაშებს შეუძლოდ მყოფ გიორგი განუგრავას, სხვა დანაკლისი „ზესტაფონს“ არ აქვს. „ცენტრალურ“ სტადიონზე კი ფეროელთა მეთორმეტე ფეხბურთელი გულშემატკივარი იქნება.

„დინამოც“ სხვა შემართებით ჩადის იმერქალაქში. მეტოქის სისუსტის გათვალისწინებით, თელავის „კახეთთან“ შეხვედრას დუშან უჰრინის სრულყოფილ დებიუტს ვერ დავარქმევთ — პირველი სერიოზული გამოცდა სწორედ დღეს ელის ჩეხ მწვრთნელს.

მართალია, წინ მთელი ჩემპიონატია, მაგრამ დინამოელებს თუ ჩემპიონობა სურთ, ახლავე უნდა აკრიფონ ქულები.

სტუმართა კოზირი სანდრო იაშვილი იქნება, ვინც ახლა კარგ ფორმაშია და ხშირად გააქვს გოლები.

მოკლედ, „დინამო“ ნავსის გასატეხად ჩადის ზესტაფონში.

**ოლიმპი — ვიტ ჯორჯია**

6 თამაშიდან 16 ქულა, ბურთები 14:0 — ასეთია რუსთავის „ოლიმპის“ მონაგარი და ციფრები ყველაფერზე მეტყველებს. გიორგი კიკნაძის გუნდი გამართულ და ლაღ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა „ვიტ ჯორჯია“ ისეთი მიამიტი არაა, მეტოქე თავის ნებაზე მიუშვას.

ვიტელებს, სავარაუდოდ, მცველი ალექსანდრე კვახაძე დააკლდებათ, „ოლიმპს“ კი რევაზ გეწაძე გამოუჯანმრთელდა და წინა ტურში ათამაშა კიდეც. ორივე გუნდი სავსეა საინტერესო ახალგაზრდებით და ქულების განაწილების გარდა სხვა ინტრიგაცაა: მოახერხებს „ვიტ ჯორჯია“ რუსთაველთა 540-წუთიანი მშრალი სერიის შეწყვეტას? ახლა იტყვით, ნესტორ მუმლაძის გუნდმა „მერანს“ ვერ გაუტანა და „ოლიმპს“ რა უნდა დააკლოსო, მაგრამ ის სხვა თამაში იყო, ეს სხვა იქნება — გინდ გიორგი ფეიქრიშვილი, გინდ ნიკა გელაშვილი, გინდ დავით დიღმელაშვილი თუ ზაზა სახოკია გოლზე იქნებიან დაგეშილები.

ახლა კი დარჩენილ ოთხ მატჩზეც: სანახაობისა რა გითხრათ, მაგრამ პრინციპულობა ნაღდად არ აკლია თელავურ „კახეთ“ — „დილას“. მასპინძლები დღესაც თუ უქულოდ დარჩნენ, ბარემ საგაისოდ პირველ ლიგაში განაცხადი ახლავე შეიტანონ. ისე, კახელებმა თუ ისე ითამაშეს, როგორც წინა ტურში „დინამოსთან“, გორელებს კარგი დღე არ დაადგებათ.

„ტორპედო“ მეექვსე ადგილზეა და დიდი შანსია, უფრო წინ წაიწიოს — ქუთათურები იმ „ბორჯომს“ ხვდებიან, რომელმაც ძლივს მოიშორა არგენტინელი ლეგიონერები და ახლა ორი კამერუნელით შეზავებული ქართველებით ითამაშებს. შეგახსენებთ, ათიოდ დღის წინ იმერლებმა ასევე შინ, ოღონდ თასზე, 4:1 სძლიეს ბორჯომელებს.

„ლოკომოტივ“ — „ბათუმსა“ და „მერან“ — „ჩიხურაზე“ ლაპარაკით დიდად არ შეგაწყენთ თავს. მხოლოდ ის ვთქვათ, რომ მერანელები ქულებს მხოლოდ სტუმრად აგროვებენ, საჩხერელებს კი გოლიც ვერ გააქვთ გასვლაზე. საინტერესოა, რომელი შეწყვეტს უშნო ტრადიციას?

**ილია ნანობაშვილი**

ქუთაისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო

### ტორპედო — ბორჯომი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ხუც კილი, ვ. ელისაბედაშვილი

ბოლნისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — ამერი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე, ვ. გუმბერიძე

თელავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — დილა

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. გურგენიძე, ლ. თოდრია, ო. ხეცაძე

ზესტაფონი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე, გ. კიკაჩეიშვილი

თბილისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ერქვანია, მ. ბეუქლიშვილი

თბილისი. 23 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი

### მერანი — ჩიხურა

მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. მენთეშაშვილი, დ. სანოძე, ა. გუნთაძე

რუსთავი. 23 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

### ოლიმპი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, გ. ჩიგოგიძე, თ. ხუჭუა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 6 | 6 | 0 | 0 | 12:1 | 18 |
| ოლიმპი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:0 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| დინამო | 6 | 4 | 0 | 2 | 12:5 | 12 |
| ზესტაფონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| ტორპედო | 6 | 3 | 2 | 1 | 5:2 | 11 |
| სიონი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:6 | 9 |
| მერანი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | 5 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ჩიხურა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| ბორჯომი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |
| დილა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | 1 |
| კახეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:19 | 0 |

გუშინწინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები საკონტროლო შეხვედრაში პირველლიგელ „გაგრას“ გაეჯიბრა და ამ თამაშის შესახებ გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, თუმც ის არ გვითქვამს, რომ ამ მატჩის მეოთხე ანუ სათადარიგო მსაჯი ქალბატონი იყო — ქართველი მსაჯი-ქალები უკვე საკმაოდ მიზანდასახულნი არიან მამაკაცთა ფეხბურთში ადგილის დასამკვიდრებლად

# რა სურთ ქალებს? მსაჯობა


ქალი მსაჯები ევროპაში მყარად იკიდებენ ფეხს


ავთანდილ შალამბერიძე

**დამოუკიდებელ** ქართულ ფეხბურთში ფიმეილ-მსაჯები ადრევე გამოჩნდნენ. 1994 წლამდე რეგულარულად ტარდებოდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის და ქალი მსაჯებიც იქ ირჯებოდნენ. მას შემდეგ ქალთა ჩემპიონატი საქართველოში რამდენჯერმე შეწყდა და განახლდა.

მაშინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უფროსი ნოდარ ახალკაცი იყო, საქართველოში ექვსი ფიმეილ-მსაჯი ირიცხებოდა. თითქმის იგივე შემადგენლობა შენარჩუნდა 1998 წლამდე, როცა ფედერაციის სათავეში მერაბ ჟორდანია მივიდა, მაგრამ მას შემდეგ ქალი მსაჯები ნელ-ნელა შემოეცალნენ ქართულ ფეხბურთს.

ახლა კი პროცესი ხელახლა იწყება. ქალთა ფეხბურთის განვითარება და ქალი მსაჯების ყოლა ფიფა-უეფას დირექტივაა მისი წევრი ეროვნული ფედერაციებისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც საქმეს შეუდგა — ამ დროისთვის უკვე ექვსი ფიმეილ-მსაჯი ჰყავს — ლალი გახოკია, ქეთი გაიპარაშვილი, ნინო გიგლემიანი, ხათუნა მაისურაძე, მარიეტა ბაინდურიანი და ვანდა კალინინა. მათგან ზოგი ფიზკულტურული აკადემიის სტუდენტია, ზოგი ყოფილი ფეხბურთელი, გახოკია საქართველოს ხებურთელთა ეროვნული ნაკრების წევრია, ხოლო თელაველმა მაისურაძემ თბილისში საკუთარი ხარჯით იქირავა ბინა, რათა მატჩებზე და თეორიულ მეცადინეობებზე მისვლა-მოსვლა გაუადვილეს. მოკლედ, მსაჯობისთვის მომართული ქართველი ქალები უკვე ავლენენ ხასიათს. მაგალითად, გიგლემიანს უკვე აქვს ძალიან პრინციპული და მომთხოვნი მსაჯის იმიჯი.

მსაჯობას აპირებდა ანა პოლოსიანიც, თუმც გადაიფიქრა და მსაჯობას ფეხბურთელობა ამჯობინა. პოლოსიანზე ამბობენ, მისით აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესდა და პირობებიც შესთავაზა, გვარი შეიცვალე და ჩვენთან წამოდიო...

ქართველ ქალ მსაჯთაგან საპირისპირო სქესის მატჩებს ჯერ მხოლოდ გახოკია, გაიპარაშვილი, გიგლემიანი და მაისურაძე ემსახურებიან — ისინი ჭაბუკთა ლიგის (1989-91 წლებში დაბადებულები) შეხვედრებში იწრთობიან და ჯერ მხოლოდ გვერდითი მსაჯები არიან.

ქალების ამგვარი ფემინიზაციის საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ საერთაშორისო კატეგორიის ანუ ფიფას მსაჯები გახდნენ. მიმდინარე სეზონში ისინი ჭაბუკთა ლიგიდან არ დაწინაურდებიან, გაისად კი, შესაძლოა, უკვე რეგიონული ლიგის მატჩები ანდონ. მათი ინსტრუქტორი ავთანდილ შალამბერიძეა, ყოფილი მსაჯი, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსის, ამირან კაჭახიძის მოადგილე.

მისი თქმით, მსაჯობის მსურველი ქალბატონები საქართველოში კიდევ არიან, ამ ზაფხულს ქობულეთში გამართულ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატს 14 წლის ლაინსმენი ნინო ნებიერიძეც კი ჰყავდაო.

მაინც რა ულვივებს ქართველ მანდილოსნებს მსაჯობისადმი ინტერესს? აქ, ალბათ მხოლოდ ფემინიზმში არ უნდა იყოს საქმე. ლალი გახოკია მსაჯობისადმი საკუთარ ინტერესს ასე განმარტავს: „მსაჯობა ჩემთვის სპორტსმენობაზე უფრო პერსპექტიულია, რადგან მსაჯობა უფრო დიდხანს შეიძლება. ჭაბუკთა ლიგაში ფეხბურთელები ჩემ მიმართ ძალიან კარგად არიან განწყობილნი და ჩემი მამაკაცი კოლეგებიც ყველანაირად მეხმარებიან“.

ფიფას წესებით, მსაჯთა ასაკობრივი ცენზი 45 წელია, ეროვნულ ჩემპიონატებში კი მსაჯებს 47 წლამდე შეუძლიათ საქმიანობა. როგორც ოსკარ უაილდი ამბობდა, საუკეთესო საშუალება მოერიო ცდუნებას, არის ის, რომ დანებდე მას — ქართველ ქალებს საკმაოდ დრო აქვთ, მიზნის მისაღწევად.

**დავით თავართქილაძე**

# აუე ებრძვის გრიპს და არგავარდნას



**დავით სირაძის** ერცგებირგეს აუე მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში შინ „ფიურტთან“ 0:3 რომ დამარცხდა, სირაძეს ავადმყოფობის გამო არ უთამაშია — გრიპის ვირუსი შეეყარა და ახლახან გამოჯანმრთელდა.

აუე მე-14 ადგილზეა მეორე ბუნდესლიგაში და საეჭვოა, საქმე მალევე გამოასწოროს. გუნდის სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა სხვადასხვა ტრავმების გამო ოპერაცია გაიკეთა, ხოლო სირაძის შემდეგ გრიპის ვირუსი კიდევ ოთხ ერცგებირგელს შეეყარა და, სულ მცირე, ერთი კვირა მოუწევთ უქმობა.

„ფიურტამდე“ აუე-მ გერმანიის თასზე ითამაშა და ერთ-ერთ რეგიონალლიგელს 2:1 რომ მოუგო, ეროვნული ნაკრების მწვრთნელთაგან ჯერაც იგნორირებულმა სირაძემ გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ლევ ფარცხალაძეს საქართველოდანაც კი დაურეკეს

## არც არსენალი, არც ჩელსი და არც დინამო — უკრაინის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კაცმა შორს დაიჭირა



**უკრაინაში** მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა ლევ ფარცხალაძემ ერთხელაც განაცხადა, რომ კიევის „არსენალის“ შეძენას არ აპირებს...

— „არსენალის“ ყიდვა ჩემს გეგმებში არ შედის, რადგან როცა სპორტში ხარ, უფრო დიდი მეცენატი უნდა იყო. ასეთ პროგრამებში კი პრიორიტეტს სტუდენტების და ბავშვების დახმარებას ვანიჭებ. საიდან გაჩნდა ცნობები, რომ ფარცხალაძე „არსენალის“ ყიდვას აპირებს, წარმოდგენა არ მაქვს. ვიღაცამ ჭორი გაავრცელა და ამან იმხელა მასშტაბები მიიღო, რომ საქართველოდანაც კი დამირეკეს და მკითხეს, მართლა ვაპირებდი თუ არა, „არსენალის“ ან „ჩელსის“ ყიდვას. მათ კიევის „არსენალი“ ლონდონის „არსენალში“ შეეშალათ. მოკლედ, ეს ყველაფერი სიცრუეა — უთხრა ლევ ფარცხალაძემ „რბკ-უკრაინას“.

უკრაინელი ჟურნალისტები ჩვენს თანამემამულეს მაინც არ მოეშვნენ და კიევის „დინამოს“ ყიდვაზე ჩამოუგდეს სიტყვა...

— არა, არა და არა. ფეხბურთი ჩემი საქმე არ არის. ბიზნესში სხვა უფრო ეფექტური მიმართულებებიც არსებობს — ასეთია ფარცხალაძის პოზიცია.

შეგახსენებთ, რომ თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ფარცხალაძე უკვე დიდი ხანია, უკრაინაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება.

**კახა შალამბერიძე**

# თქვენი ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



იგორ ტიტოვი



ვიქტორ კრესი



ევგენი გინერი

# ტომი — ცესკა: „პაზორ“-ნი თამაში კალჩოპოლიკო რუსეთში

**ეგორ ტიტოვი, ანდრეი არშავინი, ვლადიმირ ბისტროვი და დმიტრი ლოსკოვი რუსულ ფეხბურთში ცნობილი სახელებია, რომლებიც გასულ უქმეებზე გამართულ „ტომი“ — ცსკა-ს შეხვედრაში ცსკას უპატიოსნო თამაშში სდებენ ბრალს. ამ გამოცდილ ფეხბურთელთა ბრალდება პირდაპირი არ გახლავთ, ირიბია, რადგან ცსკა-ს უპატიოსნობის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს, მაგრამ არსებობს ფაქტი: უცხოური ტოტალიზატორები ამ გუნდის თამაშებზე ფსონებს არ იღებენ**

არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ტომსკის გუბერნატორმა ვიქტორ კრესმა ხსენებული მატჩის ამბავთა შიდა გამოძიება ბრძანა. კრესის ადმინისტრაციის მავანმა წევრმა პრესას არ დაუმალა, რომ „თამაში, სავარაუდოდ, ფალსიფიცირებული იყო“, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის მწვრთნელს, ვალერი პეტრაკოვს საქმე ცუდად წაუვა, რამდენიმე ფეხბურთელს კი გაყიდიან.

„ტომი“ შინ კარგად თამაშობს — ცსკამდე ერთხელაც არ წაუგია, ცსკა კი ტომსკში პორტუგალიიდან, ნახევარი მსოფლიოს გადაფრენით ჩავიდა. შეგახსენებთ, მოსკოველებს ევროპის იქითა ბოლოში ჩემპიონთა ლიგის უმძიმესი მატჩი ჰქონდათ. როგორც იტყობინებიან, „ტომი“ — ცსკა-ს ამ შეხვედრამ ციმბირში იმოდენა ინტერესი გამოიწვია, რომ ხალხი ტომსკში სხვა ქალაქებიდანაც ჩავიდა, მაგრამ ბოლო 10 წუთის განმავლობაში „პაზორ“-ის მეტი არაფერი უყვირიათ. მიზეზი: მათი გუნდი მოსკოველებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უთმობდა სამ ქულას.

აღსანიშნავია, რომ გუბერნატორი კრესი პატიოსან კაცადაა ცნობილი. ადრე, როდესაც „ტომი“ პრემიერლიგაში ვერ ავიდა, რადგან მას „ყუბანმა“ აჯობა, ხალხი, რომელმაც პირველი ლიგის ტექნოლოგიები კარგად იცოდა, გუბერნატორს რამდენიმე თამაშის ყიდვას სთხოვდა, მაგრამ უარი მიიღო.

ახლა, როდესაც რუსეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ინტრიგების რაოდენობა, სავარაუდოდ, გაიზრდება. ამბობენ, რომ ცსკა-ს კონკურენტები ამბავს თითზე დაიხვევენ და შეეცდებიან, სკანდალში გადაზარდონ. ამ სკანდალის მიზეზი კორუფციასთან ბრძოლა სულაც არ იქნება. უბრალოდ, კონკურენტები ამ მეთოდით ცსკა-ზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას შეეცდებიან.

როგორც თავად რუსული წყაროები იტყობინებიან, დღევანდელი ვითარებიდან ორი გამოსავალია: მოძებნონ და დასაჯონ „მეისრეები“, ან წაუყრუონ და ორი ტურის მერე ეს თამაში აღარავის ეხსომება. იტალიურ ვარიანტს კი ამ ქვეყანაში, უბრალოდ, არავინ დაუშვებს, რადგან ასეთი საქმისთვის სამყოფი სიგრძის საბრალდებო სკამი რუსეთში ჯერ არავის გამოუჭრია.

**პაპუნა ძედია**

# ბაცნური ამბავი

## უკაცრავად, ფრეს ხომ არ აპირებთ?

**სადისციპლინო** კომისიამ „სამპდორიას“ ფრანჩესკო ფლაკისა და „ატალანტას“ მორის კაროძიერის ორი თამაშით აუკრძალა მოედანზე გასვლა. მიზეზი: ისინი ნიძლავის მოსაგებად ინფორმაციას აგროვებდნენ.

დავაზუსტოთ: ეს ორი ცდილობდა, რამდენიმე თამაშის საბოლოო შედეგი წინასწარ ამოეცნოთ, რათა ის სხვებისთვის ეთქვათ, ამ სხვებს ტოტალიზატორში ფული მოეგოთ და მოგების ნაწილი მათთვის მიეცათ. თამაშები იყო 2004-05 წლების სეზონის „რომა“ — „ლაციო“ სერია A-დან და „პიზა“ — „ფროსინონე“ სერია C1-დან. მაშინ ფლაკიცა და კაროძიერიც „სამპდორიაში“ გამოდიოდნენ.

ინფორმაციის მისაღებად ფლაკიმ თავის ყოფილ თანაგუნდელს ფაბიო ბაცანის დაურეკა, კაროძიერიმ კი „ფროსინონეს“ მოთამაშეს ჯანლუკა დე ანჯელისს ჰკითხა, ფრე ხომ არ არის მოსალოდნელიო.

საინტერესოა, რომ 20 ათასი ევროთი დაისაჯა თავად კლუბი „სამპდორიაც“, რომელიც ფეხბურთის ლიგამ ასევე დამნაშავედ მიიჩნია.

**პაპუნა ძედია**



ფრანჩესკო ფლაკი

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლივორნო | : | მილანი |
| კატანია | : | მესინა |
| **ხვალ** | | |
| ასკოლი | : | სამპადორია |
| ემპოლი | : | პალერმო |
| ლაციო | : | ატალანტა |
| ინტერი | : | კიევო |
| პარმა | : | რომა |
| რეჯინა | : | ტორინო |
| უდინეზე | : | ფიორენტინა |
| სიენა | : | კალიარი |

# იტალია

## რობერტო მანჩინის ხმა ვიეირამ დაუბრუნა

**„რომასთან“** მოგებით ფრთაშესხმული „ინტერი“ „კიევოს“ მასპინძლობს და უდავო ფავორიტადაც ითვლება. „გლადიატორებთან“ მატჩისას რობერტო მანჩინიმ ისე ინერვიულა და ისეთი ემოციური იყო, რომ ხმა დაკარგა და კომენტარი ველარ გააკეთა. სამაგიეროდ, ის კი მოახერხა, რომ პატრიკ ვიეირა გაეკრიტიკებინა. ფრანგმა კვლავ უაზრო უხეშობებით „გამოიჩინა“ თავი და წითელი ბარათი მიიღო, რის გამოც 3 შეხვედრას გამოტოვებს.

ვიეირას გარდა „ინტერს“ ტრავმირებული ნიკოლას ბურდისო, ესტებან კამბიასო, ხულიო რიკარდო კრუზი და ალვარო რეკობა დააკლდებიან. გასაკვირი აღარ არის, რომ მანჩინი შეტევაში ისევ ერნან კრესპოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის დაყენებას აპირებს. ცუდ ფორმაში მყოფ ადრიანოს ალბათ შეცვლაზე ვიხილავთ. „კიევომ“ კი სეზონი საშინლად დაიწყო და ვერონელთა მწვრთნელი ჯუზეპე პილონი „სან სიროზე“ გადახალისებული შემადგენლობით აპირებს თამაშს.

„ინტერისგან“ ძლეული „რომა“ სამი ქულის აღებას „ენიო ტარდინიზე“ ეცდება. თუმცა ქულები „პარმასაც“ სჭირდება, რომელმაც სეზონი ცუდად დაიწყო. ორივე გუნდს თავდასხმაში უჭირს. „გლადიატორებს“ როდრიგო ტადეი და ამანტინო მანსინი დაუშავდათ. ახალწვეულები, მირკო ვუჩინიჩი და ჟილბერტო მარტინესი ისედაც ტრავმირებულნი არიან. „პარმას“ კი სხვადასხვა მიზეზების გამო ფერნანდო კოუტუ, ლუკა ბუჩი, ზლატან მუსილიმოვიჩი, დამიანო ფერონეტი და მასიმო პაჩი არ ეყოლება.

„არმანდო პიკიზე“ თამაში ადვილი არასდროს არ არის, მაგრამ „მილანი“ ყველანაირად ეცდება იქიდან სამი ქულა წამოიღოს, რადგან უკვე გასტუმრებული მინუს რვა ქულის გამო წინ გაჭრილ მეტოქეებს საკმაოდ ჩამორჩება. მასპინძლები კი თავისას ეცდებიან.

ალბერტო ჯილარდინოს ისევ მცირე ტრავმა აწუხებს. ალბათ, ვერ ითამაშებს მარკოს კაფუც. სამაგიეროდ, „მილანის“ დაცვის ცენტრს კახა კალაძე და ალესანდრო ნესტა უბრუნდებიან.

სერია A-ს ამჟამინდელი ლიდერი „პალერმო“ კი „ემპოლის“ სტუმრობს. აქამდე ჩემპიონატში ცხრილის სათავეში არასოდეს ყოფილან და სიცილიელები ამ მომენტით ტკბებიან.

„ჩვენ ვაჩვენეთ, რომ დიდი პოტენციალი გვაქვს და კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ. თუმცა კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ და, რაც მთავარია, შეტევაში კვლავ წარმატებულად და შედეგიანად გავისარჯოთ“ — თქვა „პალერმოს“ მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ.

კიდევ ორი მატჩი უნდა ვახსენოთ. „კატანიას“ ზედიზედ მეორე სიცილიური დერბის გადატანა უწევს. პალერმოში სტუმრობის მერე პიერლუიჯი მარინოს გუნდი „მესინას“ მასპინძლობს. ტურის ყველაზე გვიან მატჩში კი „უდინეზე“ „ფრიულიზე“ „ფიორენტინას“ დაუხვდება.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 3 | 3 | 0 | 0 | 11:7 | 9 |
| მესინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| სიენა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ატალანტა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ემპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ლივორნო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სამპდორია | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 1 |
| კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ასკოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ტორინო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლაციო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -8 |
| რეჯინა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | -12 |
| ფიორენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -16 |

*მილანს დაკლებული აქვს 8 ქულა, ლაციოს 11 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 19 ქულა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე კასტუმი გავიხადე დასარტყმელადა...

## ბელამის მძიმე დღე: ბუუუ და ლაწ სიფათში



**ლივერპულელ** კრეიგ ბელამის საგვირაბო ჩხუბს „ნიუკასლის" მეორე მწვრთნელ ტერი მაკდერმოტთან მედია-გაგრძელება მოჰყვა.

მაკდერმოტმა ასე გაიხსენა: „გვირაბში მსაჯს ველაპარაკებოდი და ამ დროს ბელამი შემომეჩხირა. ეგეთი ბიჭია, ყველგან ცხვირს ყოფს. მსაჯმა ორი პენალტი არ დაგვინიშნა. ამან კიდევ რალაცეების ძახილი დამიწყო. მეგონა, ხუმრობდა და ხელი გადავხვიე, მან კი გააგრძელა. სწორედ მაგ დროს მოვდე. ჩემიც ვუთხარი. მერე ბიჭებმა გაათრიეს და კიბის თავიდან მიყვიროდა".

ბელამი ოთხ წელიწადს იყო „ნიუკასლის"ფეხბურთელი და მაშინდელ მენეჯერ გრემ სუნესთან ჩხუბის გამო „ბლექბერნში" გაყიდეს.

„ვერ ვიტან ხალხს, ვისაც ჰგონია, რომ უფრო დიდია, ვიდრე კლუბი — თქვა მაკდერმოტმა — როცა აქ თამაშობდა, გაბღენძილი დაიარებოდა. „ბლექბერნშიც" შარს ეძებდა. ახლა „ლივერპულშიც" იგივე დაიწყო".

ბელამის მძიმე დღე ჰქონდა, ჯორდი ფანები მას ცნობილი „ბუუუ"-ს შეძახილით შეხვდნენ და ბოთლიც კი ესროლეს. მან ეს ბოთლი აიღო და იქიდან დალია წყალი.

რაფა ბენიტესმა კი ბელამი დაიცვა: „რაც ჩვენთან გადმოვიდა, ის სანიმუშო პროფესიონალივით ირჯება. „ნიუკასლთან" კარგად ითამაშა. მოედნის გარეთ ის დალვინებულია და სხვებისთვის სამაგალითო. ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი".

**ირაკლი გამყრელიძე**



ჰარი რედნაპი

# დიდი ამბავი, ბიბისი

## მამა აბრამის ბატკანთა კლუბი

**ბიბისის** მამხილებელი ფილმის შემდეგ ინგლისურ კლუბებში მოძრაობა ატყდა.

„ჩვენ ვექილებს დავუკავშირდით და მათი რჩევები მოვისმინეთ" — თქვა „ლივერპულის" მენეჯერმა რაფა ბენიტესმა.

ბიბისის ფილმში „ლივერპულის" საფეხბურთო აკადემიის მოხელეები აგენტ პიტერ ჰარისონს მიდლსბროელი თინეიჯერის, ნათან პორიტის შესახებ ესაუბრებიან.

„ფეხბურთში არიან კარგი მენეჯერები და კარგი აგენტები და პირიქით — განაცხადა ბენიტესმა — ეს, უბრალოდ, ცხოვრებაა". ფილმის სხვა გმირმა, ჰარი რედნაპმა კი თქვა: „ეს ყველაფერი ფარსია".

რედნაპი „პორტსმუთის" ვარჯიშზე იმავე ჰარისონს ბლექბერნელი ენდი ტოდის გადმოყვანაზე ელაპარაკებოდა.

„ვერ ვხვდები, იმ ფილმში რატომ მოვხვდი — იკითხა ჰარიმ — რამე დავაშავე? არა მგონია. ამიტომ ფეხბურთზე ფიქრს გავაგრძელებ".

**ირაკლი გამყრელიძე**

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რედინგი | : | მანჩესტერი |
| უიგანი | : | უოტფორდი |
| არსენალი | : | შეფილდი |
| ასტონ ვილა | : | ჩარლტონი |
| ფულემი | : | ჩელსი |
| ლივერპული | : | ტოტენჰემი |
| სითი | : | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | : | ბლექბერნი |
| **ხვალ** | | |
| ნიუკასლი | : | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| პორტსმუთი | : | ბოლტონი |

# ინგლისი

## სკანდალური ორშაბათი

**ტურის** ცენტრალურ მატჩად ორშაბათის შეხვედრა შეგვიძლია, მოვნათლოთ, რომელშიც ერთმანეთს პრემიერლიგის ახლანდელი ლიდერი „პორტსმუთი" და მეშვიდეადგილოსანი „ბოლტონი" ხვდებიან. საინტერესოა, რომ ინგლისში ცოტა ხნის წინ ატეხილ სკანდალში, რომელიც **BBC**-ს დოკუმენტურ ფილმს მოჰყვა და ტრანსფერებში შავი ფულის ტრიალს ეხება, სწორედ ამ ორი კლუბის მწვრთნელების — ჰარი რედნაპისა და სემ ალარდაისის გვარები ფიგურირებს.

შუა კვირაში „პორტსმუთმა" ლიგის თასზე „მენსფილდს" მოუგო. იმ შეხვედრაში ერთი გოლი ბურთზე ფეხის მესამე შეხებით, დაახლოებით 30 მეტრიდან გაიტანა შეცვლაზე შესულმა მანუელ ფერნანდესმა, თუმცა რედნაპი 21 წლის ნიჭიერ პორტუგალიელს ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჯერ ვერ ჰპირდება. თასზე მოიგო „ბოლტონმაც", რომელმაც „უოლსოლი" დაამარცხა. თავი ლონდონელთა ახალწვეულმა ნიკოლა ანელკამაც გამოიჩინა, ვისიც ალარდაისს ძალიან ეიმედება. ფრანგი ფორვარდი თანაგუნდელებთან ერთად ეცდება პრემიერლიგის ამ სეზონში „პორტსმუთს" პირველი გოლი გაუტანოს.

ჰარი რედნაპი: „საოცარი გოლი იყო, მას ასეთი დარტყმები შეუძლია. გარდა ამისა სწრაფია, ზუსტი პასი აქვს, ორთაბრძოლებში მარჯვეა და ყველაფერი გამოსდის. როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, მხოლოდ თუ ვინატრებდი ასეთი გოლის გატანას. იგი ახალგაზრდა პოლ ინსს მაგონებს და, დარწმუნებული ვარ, პრემიერლიგის ვარსკვლავი გახდება, მაგრამ მომთმინებით უნდა ვიყოთ".

მეექვსე ტური დღეს „ენფილდზე" „ლივერპულისა" და „ტოტენჰემის" საინტერესო მატჩით იხსნება. მასპინძლებს ჯერმენ პენანტი უბრუნდებათ. ჰარი კიუელი ისევ ტრავმირებულია, ხოლო იონ არნე რიისეს თამაში საეჭვოა. ლონდონელებს კი დიმიტარ ბერბატოვი, სტიდ მალბრანკი და აარონ ლენონი არ ეყოლებათ.

დედაქალაქური დერბია „კრივენ კოტეჯზე", სადაც „ჩელსიმ" წინა სეზონში პირველად წააგო 1979 წლის მერე და ახლა რევანშის აღებას შეეცდება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" რაიან გიგზისა და ჯი სუნგ პარკის გარეშე სტუმრობს პრემიერლეგის დებიუტანტ „რედინგს", რომელიც მეექვსე ადგილზეა გამოჭიმული. ალბათ ვერ ითამაშებენ ნემანია ვიდიჩი, ალან სმიტი და გაბრიელ ჰაინცეც.

არსენ ვენგერის „არსენალი" კი „შეფილდს" მასპინძლობს. ფრანგ სპეციალისტს ეიმედება, რომ სათამაშოდ მზად იქნებიან ახლადმომჯობინებული ტიერი ანრი და რობინ ვან პერსი.

**გიორგი კაკაბაძე**



გიგზი „მანჩესტერს" კვლავ ვერ დაეხმარება

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტსმუთი | | | | | | | | | | | | | 3:0 | | 1:0 | | | | | | 5 | 4 | 1 | 0 | 9:0 | 13 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| 2 | მანჩესტერ | | | | | | | | 5:1 | | | 0:1 | | | | | 1:0 | | | | | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 3 | ჩელსი | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | 3:0 | 2:1 | | | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 12 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| 4 | ევერტონი | | | | | | | | | 3:0 | | | | | | 2:2 | | | | 2:1 | | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 5 | ასტონ ვილა | | | | | | 2:1 | | | | 2:0 | | | | | | | | | | | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| 6 | რედინგი | | | | | | | | | | | | | | 3:2 | | | 1:0 | | | | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 7 | ბოლტონ | | | | | | | | | | | | | | 0:0 | | 2:0 | | | 1:0 | | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 8 | ფულემი | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | | | 1:0 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:7 | 8 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| 9 | ლივერპული | | | | | | | | | | 2:0 | | 2:1 | | | | | | | | | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 10 | ნიუკასლ | | | | | | | | 1:2 | | | | | | | 2:1 | | | | | | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 11 | არსენალი | | | | | 1:1 | | | | | | | | | 1:1 | | | | | | | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| 12 | ვესტ ჰემი | | | | | 1:1 | | | | | 0:2 | | | | | | | | 3:1 | | | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 13 | ბლექბერნ | | | 0:2 | 1:1 | | | | | | | | | | | | | 4:2 | | | | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| 14 | მიდლსბრო | 0:4 | | 2:1 | | | | | | | | | | | | | | | | | | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | 5 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| 15 | უიგან | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | | | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 16 | ტოტენჰემი | | | | 0:2 | | | | 0:0 | | | | | | | | | | | | 2:0 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 17 | სითი | 0:0 | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | | | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |
| 18 | ჩარლტონი | 0:1 | 0:3 | | | | | 2:0 | | | | | | | | | | | | | | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 19 | უოტფორდი | | 1:2 | | | 0:0 | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| 20 | შეფილდ | | | | | | 1:2 | | | 1:1 | | | | 0:0 | | | | | | | | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 2 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარლოს დუნგა ოთხს ქუვეითში მონათლავს



დანიელ ალვეში (მარჯვნივ) დუნგამ დააფასა

**ბრაზილიის** მწვრთნელმა კარლოს დუნგამ ნაკრებში ოთხ ახალ ფეხბურთელს უხმო: მეკარე ჰელტონი, მცველები დანიელ ალვეში და ადრიანო კორეია, ნახევარმცველი ლუკაში პირველად მოირგებენ ყვითელ მაისურას. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები 7 ოქტომბერს სტუმრად ქუვეითს გაეჯიბრებიან ამხანაგურად, 11-ში კი ეკვადორს, ალბათ, ბარსელონაში ეთამაშებიან. დუნგამ აგრეთვე გამოიძახა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე რვა ფეხბურთელი, მათ შორის რონალდინიო, კაკა და რობინიო. რონალდო და ადრიანო კი ნაკრებს მიღმა დარჩნენ.

დანიელ ალვეში სისინიოს მაგივრად მიიწვიეს გუნდში, რომლის თამაშიც მწვრთნელს არგენტინასთან მოგებულ შეხვედრაში არ მოეწონა. 23 წლის ალვეში „სევილიას" ფეხბურთელია.

მარცხენა მცველი ადრიანო კორეია 22-ისაა და ასევე „სევილიაში" თამაშობს, ესპანურ გუნდში იგი შარშან „კურიტიბადან" გადავიდა.

რაც შეეხება 19 წლის ლუკაშს, რომელიც ყველაზე უმცროსია გამოძახებულთა შორის, „გრემიოს" ფეხბურთელია და, ბრაზილიურ მედიას თუ ვენდობით, ძალიან კარგი სეზონი აქვს.

მეკარე ჰელტონი კი „პორტუს" კარს იცავს — 28 წლისაა და პირველად უხმეს ნაკრებში.

*მეკარეები: ჰელტონი (პორტუ), გომეში (პსვ)*

*მცველები: დანიელ ალვეში (სევილია), მაიკონი (ინტერი), მარსელო (ფლუმინენსე), ადრიანო კორეია (სევილია), ლუიზაო (ბენფიკა), ალექს დიასი (პსვ), ლუსიო (ბაიერნი), ჟუანი (ლევერკუზენი)*

*ნახევარმცველები: ლუკაში (გრემიო), ჟილბერტო სილვა (არსენალი), ედმილსონი (ბარსელონა), დუდუ კეარენზე (ცსკა), კაკა (მილანი), რონალდინიო (ბარსელონა), ელანიო (შახტარი)*

*თავდამსხმელები: რობინიო (რეალი), ფრედი (ლიონი), ვაგნერ ლავი (ცსკა), რაფაელ სობისი (ბეტისი), დანიელ კარვალიუ (ცსკა)*



ფუად ასადოვი

# ნავთობში ფარა იოს!

## უფულო აზერებს რეისი ეგრძელათ

**აზერბაიჯანის** ნაკრებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 7 და 11 ოქტომბერს პორტუგალიასა და ბელგიაში გამგზავრებაზე უარი რომ განაცხადოს, არ გაგიკვირდეთ, მიზეზი: უსახსრობა.

„თანხა, რომელიც უეფამ სპეციალური პროგრამებისთვის გამოგვიყო, ნაკრებთა თამაშებზე დავხარჯეთ. დარჩა ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა, რომელიც წლეულს სპონსორმა, სახელმწიფო ნავთობკომპანიამ უნდა გამოგვიყოს. ჩვენი ანგარიშიც ეს თანხა დაახლოებით 4,5 მილიონ დოლარს უდრის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მრავალმხრივი შეხსენების მიუხედავად, კომპანიას ერთი ცენტიც არ გადმოურიცხია" — განაცხადა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციათა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ფუად ასადოვმა და დასძინა, რომ პორტუგალიასა და ბელგიაში რვადღიანი ტურნე ჩარტერული რეისით 150 ათას დოლარს მოითხოვს. ყველაზე იაფი ვარიანტი ბაქო-სტამბოლი-ლისაბონი-პორტუ და შემდეგ პორტუ-ლისაბონი-ბრიუსელი-სტამბოლი-ბაქო გამოდის, მაგრამ ასადოვის აზრით ასეთი მგზავრობა ფეხბურთელებზე იმოქმედებს ცუდად.

**ბაჩუნა ძიდია**

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | : | ვერდერი |
| შალკე | : | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | : | აინტრახტი |
| მაინცი | : | ჰერტა |
| ჰანოვერი | : | ლევერკუზენი |
| ბაიერნი | : | ალემანია |
| **ხვალ** | | |
| ბოხუმი | : | არმინია |
| კოტბუსი | : | ნიურნბერგი |

# გერმანია

## გაიღვიძეთ, ჰამბურგში ვართ!

**გერმანული** მედია ბუნდესლიგის დაწყებამდე „ბაიერნის" კონკურენტებად „ჰამბურგს" და ბრემენის „ვერდერს" მიიჩნევდა. ახლა კი რა ხდება? ოთხი ტური მიილია და ცხრილს თუ ჩახედავთ, თავადაც ნახავთ, სად არიან ვითომ კონკურენტები.

ორი წელია, ბუნდესლიგაში „ბაიერნი" ბატონობს, ჩემპიონიც ხდება და თასსაც იგებს. გერმანელი მიმომხილველები სწორედ ამ სეზონში ელოდნენ „ვერდერისა" და „ჰამბურგის" აყვავებას, მაგრამ პროგნოზი არ მართლდება.

თომას დოლის „ჰამბურგმა" ჩემპიონატში, ჩემპიონთა ლიგაში თუ გერმანიის თასზე ერთი თამაშის მოგებაც კი ვერ შეძლო და მე-15 ადგილზეა.

ცოტა უკეთესად აქვს საქმე „ვერდერს", რომელიც დღეს „ჰამბურგს" ესტუმრება. ბრემენელებმა ჩემპიონატის დასაწყისში ორი მატჩი მოიგეს, მაგრამ მერე ევრო თუ საშინაო შეჯიბრში მიჯრით ოთხი წააგეს.

„უკვე დროა, რომ სწორ გზაზე დავდგეთ. ჩემს გუნდს სძინავს და როგორმე უნდა გამოიღვიძოს"— თქვა თომას დოლმა. „ჩვენ მცირე ხარვეზები გვაქვს და მათი გამოსწორება გვმართებს" — განაცხადა „ვერდერის" თავკაცმა თომას შააფმა, რომელსაც მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის „ბარსელონასთან".

მიმომხილველების გასაკვირად, ბუნდესლიგის ცხრილის თავში ბერლინის „ჰერტა" გამოჭიმულა. უპირველეს ყოვლისა, ამის „მიზეზი" არგენტინელი ფორვარდი კრისტიან ხიმენესია. მან შემატა გუნდს ის, რაც „ჰერტას" წლების განმავლობაში აკლდა. ხიმენესმა სამ მატჩში ოთხი გოლი მიითვალა და სწორედ მისი გოლების წყალობითაა, რომ ბოლო ექვს წელიწადში „ჰერტა" პირველად მოექცა ცხრილის კენწეროში. დღეს ბერლინელები „მაინცს" ეწვევიან და, რაღა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში კვლავ არგენტინელი ფორვარდი იქნება.

ბოლო ორ ტურში მხოლოდ ერთი ქულის ამღები და რუმენიგესგან გაკრიტიკებული „ბაიერნი" „ალემანიას" მასპინძლობს, რომელმაც თავის მხრივ მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო.

წინა სეზონიდან მოყოლებული, „შტუტგარტი" ცუდად თამაშობს სახლში და ეგებ ახლა „აინტრახტის" ძლევით მოახერხოს ნავსის გატეხვა. მით უმეტეს, რომ გუნდი გონზე მოვიდა და ამაზე, ერთი კვირის წინ ბრემენში „ვერდერის" ძლევაც მეტყველებს.

ლიდერებში მოულოდნელად გარეული „ნიურნბერგი" ხვალ კოტბუსს ეწვევა, რომელსაც უკვე სამი თამაშია, არ წაუგია და არც ნიურნბერგელებთან აპირებს დაჩოქებას.

**ვაჟა ხუციშვილი**



თომას დოლი

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰერტა | | | | | | 2:0 | | | | | | | | | | | 4:0 | | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 2 | ნიურნბერგი | | | | | | | | | | 1:0 | | | | | | | | 1:1 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| 3 | ბაიერნი | | 0:0 | | | 2:0 | | | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 4 | კოტბუსი | | | | | | | | | | | | 2:0 | | | 2:2 | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 5 | დორტმუნდი | | | | | | | | | | | | 1:1 | | | 1:0 | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 6 | შალკე 04 | | | | | | | 1:1 | | 2:0 | | | | | | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 7 | აინტრახტი | | | | | | | | | | | | | 3:1 | | | 0:0 | | | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 8 | ალემანია | | | | | | 0:1 | | | | 4:2 | | | | | | | | | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 9 | ვერდერი | | | | | | | | | | | 2:3 | | 2:1 | | | | | | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| 10 | მიონხენგლადბახი | | | | 2:0 | | | | | | | | | | 1:0 | | | | | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 11 | შტუტგარტი | | 0:3 | | | 1:3 | | | | | | | | | | | | | | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| 12 | მაინცი | | | | | | | 1:1 | | | | | | | | | | | 2:1 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 13 | ლევერკუზენი | | | | | | | | 3:0 | | | | | | | | 1:1 | | | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 14 | არმინია | | | 2:1 | | | | | | | | 2:3 | | | | | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 15 | ჰამბურგი | 1:1 | | | | | | | | | | | | | 1:1 | | | | | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 16 | ვოლფსბურგი | 0:0 | | | | | | | | | | | | | | | | 1:2 | | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 17 | ჰანოვერი | | | | | | | | 0:3 | 2:4 | | | | | | | | | | 4 | 1 | 0 | 3 | 4:12 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| 18 | ბოხუმი | | | 1:2 | 0:1 | | | | | | | | | | | | | | | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |



# ვისწავლოთ ოქროს გაყოფა და კატალონიური ენა

**რონალდინიომ** მასსა და სამუელ ეტოოს შორის ვითომც „ოქროს ბურთის“ გამო მომხდარი კონფლიქტი კატეგორიულად უარყო. „ეტოო და მე ღვიძლი ძმებივით ვართ“ — განაცხადა ბრაზილიელმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

კიჭამ აღნიშნა, რომ „ოქროს ბურთისთვის“ მიმდინარე ბრძოლას წლეულს თვალყურს შედარებით გულგრილად ადევნებს, რადგანაც ეს საპატიო ჯილდო შარშანდელ სეზონში მოიპოვა. ხოლო მედიის კითხვაზე, იმსახურებს თუ არა „ოქროს ბურთს“ ეტოო, რონალდინიომ უპასუხა: „ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, „ბარსელონას“ ყველა დღევანდელ ფეხბურთელს „ოქროს ბურთებს“ ჩამოვურიგებდი“.

გარდა ამისა, რონიმ ეტოო კატალონიელ ფანატიკოსთა შეტევისგანაც დაიცვა. საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსას“ ფეხბურთელებს კლუბთან კონტრაქტი არაპირდაპირ, კატალონიური ენის შესწავლასაც ავალდებულებს. ეტოო კი ამ ენაზე ჯერ ვერ „ჭიკჭიკებს“, რითაც ადგილობრივი მედიის უკმაყოფილება გამოუწვევია. „კატალონიური რთული ენაა, „ბარსელონას“ ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის ეტოოს, მისი შესწავლა უძნელდება, თუმცა ეს პრობლემას არ წარმოადგენს, დროთა განმავლობაში ვისწავლით. მე უკვე ბევრი სიტყვა ვიცი“ — აღნიშნა ბრაზილიელმა.

**ლადო ხომერიკი**

# რადიოდან რეალის ლანძღვა ისმოდა

„ვალენსიას“ მწვრთნელმა კიკე ფლორესმა „კატალუნია რადიოსთან“ ინტერვიუში მადრიდის „რეალის“ უფროსობა გააკრიტიკა. „რეალი“ უსასრულო უდაბნოში უთავბოლოდ მოხეტიალე ადამიანს მაგონებს, რომელიც იმის მაგივრად, რომ ჭკვიანურად მოიქცეს, პირიქით, მათარიდან წყალს ღვრის, ანუ მწვრთნელებს თავიდან იცილებს... თან ამავდროულად ფეხბურთელებსაც ცვლის, რის გამოც ყოველ წელს ახალი გუნდის კეთება უწევთ“ — განაცხადა ფლორესმა.

„ღამურათა“ თავკაცმა მადრიდელები უთაურობაში ამხილა: „როცა პრობლემები იქმნება, „რეალში“ რატომღაც ყოველთვის სრული ანარქია ისადგურებს. რომელ ფეხბურთელებს უნდა ენდოს გუნდის უფროსობა მოედანზე წესრიგის დასამყარებლად — კასილიასი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, რაული ძველი რაული აღარ არის და გუტიც გუნდიდან გარიყულია. ძალიან რთულად არის მათი საქმე“.

კიკე ფლორესმა ფაბიო კაპელო თავის დროზე სამეფო გუნდიდან მის გაშვებაში დაადანაშაულა. „ვალენსიელთა“ დღევანდელი დამრიგებელი „რეალში“ კონტრაქტით კიდევ ორი წლით უნდა დარჩენილიყო, მაგრამ 96-97 წლების სეზონში „ბერნაბეუზე“ მწვრთნელად დონ ფაბიო მივიდა და სანჩეს



ფლორესი მადრიდიდან ვადაზე ადრე დაითხოვეს. „რეალიდან“ ჩემი წასვლა კაპელოს უაზრო ჭირვეულობის ბრალი გახლდათ“ — უთხრა ვალენსიელმა „კატალუნია რადიოს“.

**ლადო ხომერიკი**

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბეტისი | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ხეტაფე | : | ბილბაო |
| ბარსელონა | : | ვალენსია |
| ხიმნასტიკი | : | რასინგი |
| სელტა | : | ოსასუნა |
| მალიორკა | : | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | : | სარაგოსა |
| ლევანტე | : | დეპორტივო |
| სოსიედადი | : | უელვა |
| ატლეტიკო | : | სევილია |

## ესპანეთი

# ღამურის აბანო კამპ ნოუზეა



ანგულოს გამოცდის არ ეშინია

**ხვალ** „კამპ ნოუზე“ გამოჩნდება, თუ რამდენად რეალურია გვარიანად გაძლიერებული „ვალენსიას“ საჩემპიონო პრეტენზია — „ბარსელონა“ „ღამურებს“ მასპინძლობს. ფაქტია, რომ უკვე ხუთი წელია, „ბარსას“ „ვალენსია“ შინ არ დაუმარცხებია და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ დაიწყო ორივე გუნდმა ჩემპიონატი, „კამპ ნოუზე“ თვალსასეირო თამაში უნდა გამოვიდეს. პრიმერა-დივიზიონში ჯერჯერობით სამი ქულადაუკარგავი გუნდია და აქედან ორი სწორედ „ბარსელონა“ და „ვალენსიაა“.

„ეს იქნება კარგი გამოცდა ჩვენთვის და ვნახოთ, რეალურად რისი მაქნისები ვართ — თქვა მიგელ ანხელ ანგულომ — ძალიან რთული მატჩი გველის, რომლის შედეგსაც, ალბათ, მცირე დეტალები განსაზღვრავს“.

მართალია, სეზონი ახალდაწყებულია, მაგრამ ამ მატჩის მომგები უდიდეს ფსიქოლოგიურ მუხტს მიიღებს.

დავიდ ვილიამ, რომელმაც შარშან „კამპ ნოუზე“ (2:2) დუბლი შეასრულა, ხოლო „მესტალიაზე“ (1:0) გამარჯვებისა გაიტანა, წინა ტურში „ხეტაფესთან“ ტრავმა მიიღო და შესაძლოა, ხვალ სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. მის ნაცვლად კი ძირითად შემადგენლობაში ფერნანდო მორიენტესს დავიდ სილვა დაეხმარება.

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფორვარდი მორიენტესი „ლივერპულიდან“ ესპანეთში დაბრუნების შემდეგ თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. „ვალენსიაში“ გადასულმა ექვს მატჩში ხუთი გოლი შეაგდო. ტრავმამოშუშებული დავიდ ალბელდა, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება და ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშებს. მიგელ ანხელ ანგულოს კი მარჯვენა ფლანგზე გაამწესებენ, რადგან ხოაკინი „ხეტაფესთან“ სადებიუტო მატჩში დაშავდა.

რაც შეეხება „ბარსელონას“, ბოლო შვიდ წელიწადში კატალონიელებს ასეთი კარგი სტარტი არ ჰქონიათ. სამუელ ეტოო საუცხოო ფორმაშია და ჩემპიონატის სამ მატჩში ოთხი გოლი მიითვალა. კატალონიურ კლუბში გადასვლის დღიდან „ბარსას“ მაისურით ყველა შეჯიბრში 99 მატჩი გამართა და 68 გოლი ჩაიწერა, „ვალენსიასთან“ კი საიუბილეო, მე-100 თამაში ელის და, რაღა თქმა უნდა, იუბილეს გოლით აღნიშვნა სწადია. „ეტოო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია გუნდში — ამბობს ფრანკ რაიკარდი — ძლიერი ხასიათის პატრონია და თანაგუნდელების გაძღოლა შეუძლია. მისი ამჟამინდელი ფორმა არ მაკვირვებს, რადგან უმაღლესი კლასის პროფესიონალია და მუდამ გოლზეა დაგეშილი“.

ცხრილის თავში მოქცეული „სევილია“ კი იმითაც დაიკვეხნის, რომ ყველაზე მეტი, 10 აქვს გატანილი. აქედან ოთხი ფრედერიკ კანუტის, ხოლო სამი — კეპას ანგარიშზეა. „სევილია“ მადრიდის „ატლეტიკოს“ ეწვევა, რომელმაც ამ ზაფხულს ყველაზე მეტი ფული დახარჯა ტრანსფერებში, ხოლო „რეალი“ სევილიაში „ბეტისს“ ჩააკითხავს. აგერ უკვე ოთხი სეზონი და რვა მატჩია, ბეტისელებს „სამეფო კლუბისთვის“ არ მოუგიათ.

**ირაკლი ნინიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სევილია | | | | | | | | | | 3:2 | | | | | 4:0 | | | | | | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2 | ბარსელონა | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | | | | | | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| 3 | ვალენსია | | | | | | | | 2:0 | | 2:1 | | | | | | | | | | | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 4 | რეალი | | | | | | | | | | | | | | | | | 0:0 | 2:0 | | | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| 5 | დეპორტივო | | | | | | 3:2 | | | | | | | | | | | 2:0 | | | | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 6 | სარაგოსა | | | | | | | | | | | | | 3:0 | | | 2:0 | | | | | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| 7 | ატლეტიკო | | | 0:1 | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 8 | ხეტაფე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 9 | უელვა | | | | | | | | | | | | | | | 0:1 | 1:1 | | | | | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 10 | ბეტისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3:0 | | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| 11 | სელტა | | 2:3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 12 | ხიმნასტიკი | | | | | | | | | | | 1:2 | | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 13 | ესპანიოლი | | | | | | | | | | | 2:1 | 0:1 | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 14 | ოსასუნა | | | | | | | | 0:2 | | | | 2:0 | | | | | | | | | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| 10248 | ლევანტე-დეპორტივო | 2.55 | 2.00 | 2.65 | 1.12 | 1.29 | 1.13 |
| 10249 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.50 | 2.00 | 3.85 | 1.11 | 1.51 | 1.31 |
| 10250 | სოსიედადი-უელვა | 2.30 | 2.00 | 4.35 | 1.06 | 1.50 | 1.37 |
| 10251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10263 | ლიონი-ლილი | 1.90 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.44 | 1.55 |
| 10264 | ოსერი-სედანი | 2.10 | 2.00 | 5.00 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10265 | ბორდო-ტრუა | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10267 | ლე მანი-სოშო | 2.55 | 1.90 | 4.00 | 1.08 | 1.55 | 1.28 |
| 10268 | ნიცა-ვალენსიენი | 2.60 | 1.90 | 4.00 | 1.09 | 1.57 | 1.28 |
| 10269 | პსჟ-ნანსი | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |
| 10270 | რენი-სტ.ეტიენი | 2.75 | 1.80 | 3.90 | 1.08 | 1.61 | 1.23 |
| 10271 | ტულუზი-ლორიანი | 2.50 | 1.90 | 4.50 | 1.07 | 1.60 | 1.33 |
| 10272 | ლანსი-მონაკო | 2.60 | 1.90 | 4.20 | 1.09 | 1.60 | 1.30 |
| 10273 | ნანტი-მარსელი | 3.80 | 1.90 | 2.70 | 1.26 | 1.57 | 1.11 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 2.25 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11003 | არსენალი-შეფილდი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11006 | ფულემი-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.80 |
| 11008 | სიტი-ვესტ ჰემი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11011 | უიგანი-უოტფორდი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11012 | რედინგი-მანჩესტერი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11013 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11076 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11081 | აბერდინი-ჰარტსი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11099 | ბაიერნი-ალემანია | 1.50 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11101 | ჰამბურგი-ვერდერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11105 | მაინცი-ჰერტა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11109 | ბოხუმი-არმინია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11186 | ლივორნო-მილანი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11188 | კატანია-მესინა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11189 | ემპოლი-პალერმო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11190 | ინტერი-კიევო | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11192 | ლაციო-ატალანტა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11193 | პარმა-რომა | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11195 | რეჯინა-ტორინო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11196 | სიენა-კალიარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11197 | ასკოლი-სამპდორია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11198 | უდინეზე-ფიორენტინა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11239 | ატლეტიკო-სევილია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11241 | ბარსელონა-ვალენსია | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11243 | ბეტისი-რეალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11245 | სელტა-ოსასუნა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11246 | ხეტაფე-ბილბაო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11247 | ტარაგონა-რასინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11248 | ლევანტე-დეპორტივო | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11249 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11250 | სოსიედადი-უელვა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11263 | ლიონი-ლილი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11264 | ოსერი-სედანი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11265 | ბორდო-ტრუა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11267 | ლე მანი-სოშო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11268 | ნიცა-ვალენსიენი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11269 | პსჟ-ნანსი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11270 | რენი-სტ.ეტიენი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11271 | ტულუზი-ლორიანი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11272 | ლანსი-მონაკო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11273 | ნანტი-მარსელი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | არსენალი-შეფილდი | 2.00 | 1.60 |
| 12005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ფულემი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | უიგანი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | რედინგი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 12013 | ნიუკასლი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12076 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 1.70 | 1.90 |
| 12078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 12079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.90 | 1.70 |
| 12080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.90 | 1.70 |
| 12081 | აბერდინი-ჰარტსი | 1.70 | 1.90 |
| 12098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12099 | ბაიერნი-ალემანია | 2.10 | 1.50 |
| 12101 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12105 | მაინცი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 12106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12109 | ბოხუმი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12186 | ლივორნო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12188 | კატანია-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12189 | ემპოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12190 | ინტერი-კიევო | 1.90 | 1.70 |
| 12192 | ლაციო-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 12193 | პარმა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12195 | რეჯინა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 12196 | სიენა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12197 | ასკოლი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12198 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12239 | ატლეტიკო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 12243 | ბეტისი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12245 | სელტა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 12247 | ტარაგონა-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12248 | ლევანტე-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12249 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12250 | სოსიედადი-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 12251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12263 | ლიონი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12264 | ოსერი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 12265 | ბორდო-ტრუა | 1.60 | 2.00 |
| 12267 | ლე მანი-სოშო | 1.60 | 2.00 |
| 12268 | ნიცა-ვალენსიენი | 1.60 | 2.00 |
| 12269 | პსჟ-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12270 | რენი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12271 | ტულუზი-ლორიანი | 1.60 | 2.00 |
| 12272 | ლანსი-მონაკო | 1.60 | 2.00 |
| 12273 | ნანტი-მარსელი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | არსენალი-შეფილდი | 1.90 | 1.70 |
| 13005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ფულემი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | უიგანი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | რედინგი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ნიუკასლი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | აბერდინი-ჰარტსი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13099 | ბაიერნი-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 13101 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13105 | მაინცი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13109 | ბოხუმი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13186 | ლივორნო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13188 | კატანია-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13189 | ემპოლი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13190 | ინტერი-კიევო | 1.90 | 1.70 |
| 13192 | ლაციო-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13193 | პარმა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13195 | რეჯინა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13196 | სიენა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13197 | ასკოლი-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13198 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13239 | ატლეტიკო-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13243 | ბეტისი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13245 | სელტა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13247 | ტარაგონა-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13248 | ლევანტე-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13249 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13250 | სოსიედადი-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13263 | ლიონი-ლილი | 1.90 | 1.60 |
| 13264 | ოსერი-სედანი | 1.90 | 1.60 |
| 13265 | ბორდო-ტრუა | 1.90 | 1.60 |
| 13267 | ლე მანი-სოშო | 1.90 | 1.60 |
| 13268 | ნიცა-ვალენსიენი | 1.90 | 1.60 |
| 13269 | პსჟ-ნანსი | 1.90 | 1.60 |
| 13270 | რენი-სტ.ეტიენი | 1.60 | 1.90 |
| 13271 | ტულუზი-ლორიანი | 1.60 | 1.90 |
| 13272 | ლანსი-მონაკო | 1.90 | 1.60 |
| 13273 | ნანტი-მარსელი | 1.60 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.30 | [illegible] |
| 14003 | არსენალი-შეფილდი | 1.05 | 2.90 |
| 14005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.40 | 2.40 |
| 14006 | ფულემი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14008 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.75 | 2.10 |
| 14010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | უიგანი-უოტფორდი | 1.60 | 2.30 |
| 14012 | რედინგი-მანჩესტერი | 2.50 | 1.30 |
| 14013 | ნიუკასლი-ევერტონი | 1.75 | 2.10 |
| 14014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.60 | 2.20 |
| 14076 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.70 | 2.20 |
| 14077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 1.70 | 2.20 |
| 14078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.80 | 2.00 |
| 14079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.30 | 2.50 |
| 14080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.60 | 2.30 |
| 14081 | აბერდინი-ჰარტსი | 2.00 | 1.80 |
| 14098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1.80 | 1.90 |
| 14099 | ბაიერნი-ალემანია | 1.04 | 2.90 |
| 14101 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 14103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.90 |
| 14105 | მაინცი-ჰერტა | 1.80 | 1.90 |
| 14106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.60 | 2.30 |
| 14109 | ბოხუმი-არმინია | 1.70 | 2.10 |
| 14110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 1.80 | 1.90 |
| 14186 | ლივორნო-მილანი | 2.40 | 1.40 |
| 14188 | კატანია-მესინა | 1.80 | 2.00 |
| 14189 | ემპოლი-პალერმო | 1.90 | 1.90 |
| 14190 | ინტერი-კიევო | 1.05 | 2.90 |
| 14192 | ლაციო-ატალანტა | 1.40 | 2.30 |
| 14193 | პარმა-რომა | 2.30 | 1.60 |
| 14195 | რეჯინა-ტორინო | 1.75 | 2.10 |
| 14196 | სიენა-კალიარი | 1.70 | 2.20 |
| 14197 | ასკოლი-სამპდორია | 1.80 | 1.90 |
| 14198 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.80 | 2.00 |
| 14239 | ატლეტიკო-სევილია | 1.80 | 1.90 |
| 14241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.30 | 2.50 |
| 14243 | ბეტისი-რეალი | 2.20 | 1.70 |
| 14245 | სელტა-ოსასუნა | 1.70 | 2.20 |
| 14246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.65 | 2.20 |
| 14247 | ტარაგონა-რასინგი | 1.70 | 2.10 |
| 14248 | ლევანტე-დეპორტივო | 2.10 | 1.70 |
| 14249 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.70 | 2.20 |
| 14250 | სოსიედადი-უელვა | 1.65 | 2.10 |
| 14251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 2.20 |
| 14263 | ლიონი-ლილი | 1.30 | 2.50 |
| 14264 | ოსერი-სედანი | 1.40 | 2.40 |
| 14265 | ბორდო-ტრუა | 1.25 | 2.50 |
| 14267 | ლე მანი-სოშო | 1.75 | 2.10 |
| 14268 | ნიცა-ვალენსიენი | 1.75 | 2.10 |
| 14269 | პსჟ-ნანსი | 1.45 | 2.40 |
| 14270 | რენი-სტ.ეტიენი | 1.80 | 2.00 |
| 14271 | ტულუზი-ლორიანი | 1.65 | 2.20 |
| 14272 | ლანსი-მონაკო | 1.75 | 2.10 |
| 14273 | ნანტი-მარსელი | 2.10 | 1.75 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | არსენალი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ფულემი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | სიტი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | უიგანი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | რედინგი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | სელტიკი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | აბერდინი-ჰარტსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ბაიერნი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ჰამბურგი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | მაინცი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | შალკე-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ბოხუმი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ლივორნო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | კატანია-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ემპოლი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ინტერი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ლაციო-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | პარმა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | რეჯინა-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | სიენა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ასკოლი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | უდინეზე-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ატლეტიკო-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | ბარსელონა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | ბეტისი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | სელტა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15246 | ხეტაფე-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15247 | ტარაგონა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | ლევანტე-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | მალიორკა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15250 | სოსიედადი-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15263 | ლიონი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15264 | ოსერი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | ბორდო-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | ლე მანი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | ნიცა-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | პსჟ-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | რენი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15271 | ტულუზი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | ლანსი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15273 | ნანტი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.22 | 3.20 |
| 16003 | არსენალი-შეფილდი | 1.02 | 7.00 |
| 16005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.25 | 3.00 |
| 16006 | ფულემი-ჩელსი | 4.00 | 1.15 |
| 16008 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.55 | 2.00 |
| 16010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.50 | 2.20 |
| 16011 | უიგანი-უოტფორდი | 1.30 | 2.70 |
| 16012 | რედინგი-მანჩესტერი | 3.60 | 1.18 |
| 16013 | ნიუკასლი-ევერტონი | 1.55 | 2.10 |
| 16014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.37 | 2.50 |
| 16076 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.40 | 2.40 |
| 16077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 1.40 | 2.50 |
| 16078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.60 | 1.90 |
| 16079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.15 | 3.80 |
| 16080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.35 | 2.50 |
| 16081 | აბერდინი-ჰარტსი | 1.90 | 1.60 |
| 16098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 16099 | ბაიერნი-ალემანია | 1.05 | 6.00 |
| 16101 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.80 | 1.70 |
| 16103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.80 | 1.80 |
| 16105 | მაინცი-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 16106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.15 | 4.00 |
| 16108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.35 | 2.60 |
| 16109 | ბოხუმი-არმინია | 1.45 | 2.15 |
| 16110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 1.80 | 1.80 |
| 16186 | ლივორნო-მილანი | 3.10 | 1.25 |
| 16188 | კატანია-მესინა | 1.50 | 2.20 |
| 16189 | ემპოლი-პალერმო | 2.00 | 1.60 |
| 16192 | ლაციო-ატალანტა | 1.25 | 3.10 |
| 16193 | პარმა-რომა | 2.50 | 1.40 |
| 16195 | რეჯინა-ტორინო | 1.50 | 2.20 |
| 16196 | სიენა-კალიარი | 1.35 | 2.50 |
| 16197 | ასკოლი-სამპდორია | 1.65 | 1.90 |
| 16198 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.60 | 2.00 |
| 16239 | ატლეტიკო-სევილია | 1.60 | 1.90 |
| 16241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.17 | 3.75 |
| 16243 | ბეტისი-რეალი | 2.50 | 1.40 |
| 16245 | სელტა-ოსასუნა | 1.45 | 2.30 |
| 16246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.40 | 2.50 |
| 16247 | ტარაგონა-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 16248 | ლევანტე-დეპორტივო | 2.10 | 1.55 |
| 16249 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.50 | 2.20 |
| 16250 | სოსიედადი-უელვა | 1.35 | 2.60 |
| 16251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.45 | 2.30 |
| 16263 | ლიონი-ლილი | 1.18 | 3.30 |
| 16264 | ოსერი-სედანი | 1.25 | 3.00 |
| 16265 | ბორდო-ტრუა | 1.15 | 3.90 |
| 16267 | ლე მანი-სოშო | 1.45 | 2.35 |
| 16268 | ნიცა-ვალენსიენი | 1.45 | 2.35 |
| 16269 | პსჟ-ნანსი | 1.30 | 2.90 |
| 16270 | რენი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 16271 | ტულუზი-ლორიანი | 1.35 | 2.60 |
| 16272 | ლანსი-მონაკო | 1.45 | 2.35 |
| 16273 | ნანტი-მარსელი | 2.20 | 1.50 |

## გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | არსენალი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ფულემი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | უიგანი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | რედინგი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ნიუკასლი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | დანდი იუნაიტედი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | აბერდინი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ბაიერნი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | მაინცი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ბოხუმი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ლივორნო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17188 | კატანია-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ემპოლი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ინტერი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ლაციო-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17193 | პარმა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17195 | რეჯინა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17196 | სიენა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ასკოლი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17198 | უდინეზე-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17239 | ატლეტიკო-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ბეტისი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | სელტა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17247 | ტარაგონა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | ლევანტე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17249 | მალიორკა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | სოსიედადი-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17263 | ლიონი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17264 | ოსერი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ბორდო-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ლე მანი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ნიცა-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17269 | პსჟ-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17270 | რენი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17271 | ტულუზი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | ლანსი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ნანტი-მარსელი | 1.85 | 1.95 |



ბადრი კვიციანის ფოტო

თედო ზიბზიბაძე ნაკრებში დაბრუნდა

# გზა მოკლე და გზა შორი

## საქართველოს ნაკრები საფრანგეთისკენ სვლას საფრანგეთიდან იწყებს

**გაისად**, დღევანდელიდან ერთი წლის თავზე, პარიზის გარეუბან სენ დენში, დიდებულ „სტად დე ფრანსზე“ მეექვსე სარაგბო მსოფლიოს თასი საფრანგეთი — არგენტინის მატჩით გაიხსნება, იქამდე კი წინა მსოფლიოს თასზე ჯგუფიდან ვერ გასული გუნდები ფინალური ეტაპის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტ ეტაპს იწყებენ.

შესარჩევ ტურნირში ებმება საქართველოს ნაკრებიც, რომელიც რაკი ერთი თასზე რუმინეთის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა, შედარებით იოლი ჯგუფი შეხვდა და თან ისეთი განრიგი აქვს, რალაც ალოგიკური უნდა მოხდეს, მსოფლიოს თასზე მეორედ რომ ვერ ითამაშოს. რაგბი კი ლოგიკური სპორტია და სენსაცია ათასში ერთხელ ხდება.

ჩვენები ჯგუფში მოხვდნენ რუმინეთთან და ესპანეთი — ჩეხეთს შორის უკეთესთან. ამათში ალბათ მაინც ესპანეთი იქნება ქართველების მეტოქე, რაკი დასავლეთ იბერიელებმა პირველ მატჩში სტუმრად 33:12 მიანგრიეს ჩეხეთი და შინ ხომ უეჭველად გამოუყვანენ წირვას.

ჯგუფური ეტაპი ერთწრიანია: 7 ოქტომბერს საქართველო სტუმრობს რუმინეთს, 28 ოქტომბერს კი თბილისში ეთამაშება ესპანეთს.

ჯგუფის პირველადგილოსანი პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე, მეორე ადგილოსანს კი რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესთან მოუწევს შინ და გარეთ პრინციპით მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვება. და, თუ აქედანაც არაფერი გამოვა, მერე რეპეშაჟი იქნება და იქიდან შეიძლება საფრანგეთში მოხვედრა, თუმცა ეს ძალიან შორი გზაა და იმედია, ჩვენებს ამ გზის გავლა არ მოუწევთ.

ერთი კია, თუ ჩვენებმა ორი კვირის თავზე ბუქარესტში დაამარცხეს რუმინეთი, რაც ხუთი წლის წინ გააკეთეს კიდეც და შინ უეჭველად გაასალეს ესპანეთი, იქითაქეთ სირბილი არ მოუწევთ და პირდაპირ წავლენ საფრანგეთში.

თუ საქართველო ჯგუფში იპირველებს და პირდაპირ გავა ფინალურ ეტაპზე, ბოლოლათაგან ჯგუფში ახალ ზელანდიას და შოტლანდიას დაუჯდება. თუ არა და საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას მიაკითხავს.

შესარჩევი ეტაპისთვის საქართველოს ნაკრები იქითა კვირას საფრანგეთში დაიწყებს ერთკვირიან შეკრებას. ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა მალხაზ ჭეიშვილმა, დავით ჩავლეიშვილმა და პაატა ნარიმანიშვილმა საამშეკრებოდ სარეკორდოდ ბევრი 35 მორაგბე გამოიძახეს. მწვრთნელები ისევ გამოცდილი და მრავალჯახზგადატანილ რაზმელებს დაეყრდნობიან. ნაკრების გაფართოებული სია ასეთია:

მორკინალები: გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი (ორივე კლერმონი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ავთო კოპალიანი (მონტობანი), გიორგი კუთარაშვილი, გია ლაბაძე (ტულონი), დავით ხინჩაგაშვილი (ბურგუენი), დავით გასვიანი (ეგზი), მამუკა მაგრაქველიძე (უგუნდო), ილია ზედგინიძე (ოში), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვლი (მონლუსონი), ვიქტორ დიდებულიძე, გიორგი ჩხაიძე (მასი), ზურაბ მჭედლიშვილი (დომონი), რატი ურუშაძე (ენისეი), ბესიკ უდესიანი (ვილფრანში), ილია მაისურაძე (ნანტი), ზვიად მაისურაძე (კრასნი იარი).

უკანა ხაზი: ოთარ ბარკალაია (ანდორა), პალიკო ჯიმშელაძე (არასი), თემურ სოხაძე (ბასტია), გიორგი ელიზბარაშვილი (კრასნი იარი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე), ბესიკ ხამაშურიძე (ენისეი), რევაზ გიგაური (მონლუსონი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ყოჩები), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა), გიორგი კაჭარავა (ვანი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი),

ერთიც, ნაკრებს დაუბრუნდა მარდი მოიერიშე და საიმედო მბოჭავი თედო ზიბზიბაძე, ვისაც მიზეზთა გამო შარშანს აქეთ ეროვნულ გუნდში არ უთამაშია.

**ბაჩო სვანიძე**



# მცხეთაში ღვინო გადაუმალავთ ბალონის ხალხს კასრი ელის

*საჰაერო ბურთებით საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან დაფრინავდნენ, ოღონდ მაშინ ეკიპაჟის წევრები უცხოელები იყვნენ. გასაბჭოების შემდეგ ბევრ სხვა რამესთან ერთად საჰაერო ბურთებიც გადაშენდნენ ქართული ციდან და მთელი ოთხმოცი წელი აღარ გამოჩენილან. და ეს მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში რუსეთში მოღვაწეობდა ამ საქმის დიდოსტატი ვლადიმერ გარაყანიძე, ვინც საკუთარი კონსტრუქციის ბურთებით დაფრინავდა, მსოფლიოს რეკორდებსაც ამყარებდა და თანაც რუსთა სიამაყისა და საბჭოთა კოსმონავტიკის მამად წოდებული სერგეი კოროლიოვის მასწავლებელი გახლდათ*



ბადრი კვიციანის ფოტო

რევაზ უთურგაური

**ქართველები** კიდევ არაერთი ავიატორით ვიწონებთ თავს, მათ შორის ამ საქმის პიონერებითაც, მფრინავებითაც და კონსტრუქტორებითაც, მაგრამ საჰაერო ბურთებთან აქამდე ცოტა მწყრალად ვიყავით მაშინ, როცა მრავალ ქვეყანაში ათასობით და ათიათასობით ბურთი დაფრინავს, შეჯიბრებებსაც აწყობენ და ნაირგვარ მსოფლიოს რეკორდებსაც ამყარებენ, თუმცა, ეტყობა, ყინული ლღვება. 2000 წელს თბილისის ცაში გამოჩნდა ბიზნესმენ გიორგი ჭანტურიას ბურთი, ვინც ბესო მარგიანთან ერთად აფრინდა. იმავე წელს საკუთარი ბურთით ცაში აფრინდა რევაზ უთურგაურის ეკიპაჟიც. კიდევ რამდენიმე ფრენა განხორციელდა და რევაზ უთურგაურმა ვაცლავ შაგინიანთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციაც ჩამოაყალიბეს.

როგორც რევაზ უთურგაურმა გვითხრა, მათ წელიწადნახევრის განმავლობაში ამ საქმის განვითარებისთვის იმდენი რამ გააკეთეს, რასაც სხვები ხუთ და ათ წელიწადს ანდომებდნენ.

და აი, 4-8 ოქტომბერს მცხეთაში პირველად ვმასპინძლობთ საქართველოს ღია ჩემპიონატს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არაბთა გაერთიანებული საემიროების, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, რუსეთის, უკრაინის, ჩეხეთისა და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ეკიპაჟები, გუნდების საერთო რაოდენობა კი თოთხმეტი იქნება.

გუშინ ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე რევაზ უთურგაურმა გვიამბო, რომ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილების გარდა გათამაშდება „ქართველი მეღვინეების თასი“ და „შავი ზღვის თასი“. ბურთების ფრენის ცქერა შესაძლებელი იქნება სოფელ წეროვნიდან და გოროვანიდან, აგრეთვე ჩარდახის მთის ფერდობიდან, ხოლო შეჯიბრების გახსნის ცერემონია 4 ოქტომბერს მცხეთის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება, სადაც მოეწყობა ფოლკლორული კონცერტი და მონაწილეთა საჰაერო აღლუმი ანუ ფიესტა, როგორც მას აერონაოსნები უწოდებენ და ულამაზეს სანახაობას წარმოადგენს.

გარდა შეჯიბრების გახსნის ცერემონიისა, გათამაშდება ლატარია, რომლის სამი გამარჯვებული ერთ-ერთი ბურთის ეკიპაჟთან ერთად დედამიწას ზემოდან გადმოხედავს.

რაც შეეხებათ თავად გამარჯვებულებს, ისინი დაჯილდოვდებიან თასებით, ფულადი პრემიებით, ხოლო „ქართველი მეღვინეების თასის“ მფლობელი ღვინით სავსე 100 ლიტრიან კასრსაც მიიღებს.

ახლა კი შემოგთავაზებთ რევაზ უთურგაურთან ჩვენი საუბრის შინაარს:

**— საქართველოში ასეთი შეჯიბრებების ჩასატარებლად მშვენიერი ადგილია ბოლნისში, ყოფილი დოსააფის ტერიტორიაზე, ან თელავის აეროდრომზე, სადაც საბჭოთა სამხედრო შვეულმფრენების ბაზა იყო. ამიტომ საინტერესოა, რამ განაპირობა ამ შეჯიბრების სამასპინძლოდ მცხეთის არჩევა?**

— მართლაც, ორივე ადგილი საუკეთესოა. მეტიც, ალაზნის ველი, რომელიც ერთი მხრიდან კავკასიონით, მეორიდან კი გომბორის მთითაა შემოზღუდული, საჰაერო ბურთებისთვის მთელს მსოფლიოში უნიკალური ადგილია. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ ადგილების ინფრასტრუქტურა, შეჯიბრების მონაწილეთა დაბინავების, სატრანსპორტო და სხვა პირობები იქ შეჯიბრების გამართვის საშუალებას არ იძლევა, მცხეთის ადმინისტრაციამ კი ისეთი მხარდაჭერა აღგვითქვა, მათგან ისეთი დაინტერესება და გულისხმიერება ვიგრძენით, რომ ამ ყოველივეზე უარს ვერაფრით ვიტყოდით.

**— საჰაერო ბურთებით სპორტული შეჯიბრებები მეტად მრავალფეროვანია და მრავალ კლასსსა თუ სეხეობას მოიცავს. საინტერესოა, ჩვენთან როგორ ფრენებს იხილავს მაყურებელი.**

— მართლაც, აერონაოსნებმა ანუ ბალონისტებმა თუ მებალონეებმა, როგორც მათ უწოდებენ, სხვადასხვაგვარი შეჯიბრებები მოიფიქრეს. ჩვენთან გასამართ შეჯიბრებას ცაში საჭადრაკო თამაშს ვუწოდებთ, რომლის არსიც მონიშნულ წერტილში აეროსტატის რაც შეიძლება ზუსტად მიყვანა, ანაც ფრენის ხანგრძლივობის თუ დისტანციური ინტერვალის ოპტიმიზაციაა. ჩვენთან გასამართი შეჯიბრების პროგრამით მონაწილეებს მიეცემათ ამოცანა, რომ მოძებნონ რამდენიმე კილომეტრის იქით გადამალული „ოქროს საწმისი“ და დაისაკუთრონ. მეორე პროგრამით მოსაძებნია კასრები, რომელზეც ზემოდან მარკერი უნდა მოახვედრონ...

**— რომელი კლასის ბურთებით გაიმართება ეს შეჯიბრება?**

— ჩვენთან შეჯიბრებაში ჩაებმებიან AX-7 და AX-8 კლასის აეროსტატები, რომლებიც თბურ, თავისუფალ ბურთებს წარმოადგენენ, ყველაზე გავრცელებულია და შეჯიბრებებისთვისაც უფრო მეტად იყენებენ, რაკილა პილოტის სურვილზე სწრაფად რეაგირებენ.

**— „ქართველი მეღვინეების თასის“ მომგებს პრიზის — ღვინით სავსე 100-ლიტრიანი კასრის — წასაღებად ამ კლასის ბურთი არ ეყოფა**

— მართლაც, იმ კასრის წასაღებად AX-9 და უფრო მაღალი კლასის აეროსტატია საჭირო, რომლებიც კომერციული მიზნებით, მგზავრთა სასეირნოდ გამოიყენება, ასეთი დიდი ტევადობის ბურთი კი მცხეთაში არ იქნება.

ასეა თუ ისე, იმ კასრის ტრანსპორტირება გამარჯვებულის პრობლემა იქნება. თუ ვერ წაიღებს, შეჯიბრების მერე ყველანი ერთად გამოვცლით.

**— მის დასაუფლებლად მართლაც დიდი ბრძოლა გაიმართება, რადგან, როგორც თავად ამბობთ, დიდად სახელგანთქმული ბალონისტები მოგიწვევიათ.**

— დიახ, ყველა მათგანი თავისი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ან რეკორდსმენია. არიან მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენებიც. მაგალითად, რუსი სტანისლავ ფიოდოროვი მსოფლიოს შვიდგზის რეკორდსმენია, ბრიტანელი ფილ დანინგტონი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გახლავთ...

**— კი მაგრამ, დასაწყისისთვის იქნე ცოტა სუსტები მოგეწვიათ, თორემ მათთან ბრძოლაში ჩვენი ახალბედა ეკიპაჟები რას გახდებიან.**

— უძლიერესებთან ბრძოლაში მეტ ცოდნასა და გამოცდილებას შევიძენთ. თანაც საქვეყნოდ აღიარებული აერონაოსნების შეჯიბრება მსოფლიოში უკეთ გახმაურდება, ეს კი ჩვენი ქვეყნის იმიჯსა და ჩვენივე ფედერაციის პრესტიჟს უფრო წაადგება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# სუპერლიგას ტექნიკური სართული ექნება

## ათუაშვილი საქართველოში სტუდენტად დაბრუნდა



**2004-05 წლების** ჩემპიონი სტუ საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს! შესაძლოა ბევრმა იფიქროს, დიდი ამბავი, თუ ითამაშებს, ამაში გასაკვირი რა არისო. საქმე ის გახლავთ, რომ ტექნიკოსების საჩემპიონატო საქმე აქამდე გაურკვეველი იყო. რა ხანია, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს ძველებურად კარგი დროება აღარ უდგას — შარშან ხომ მთავარი სპონსორი „ჯეოსელი" გაექცა და ახლა სუპერლიგის „მაღალმა ტარიფებმა" დააყენა ჩემპიონატში სტუ-ს ყოფნა-არყოფნის საკითხი ეჭვქვეშ.

მოგეხსენებათ, ამიერიდან საქართველოს ჩემპიონატს სუპერლიგა ერქმევა, რომელიც გაცილებით მოწესრიგებული, ორგანიზებული და ფულიანი იქნება. პროფესიული ლიგის შექმნით რას იხეირებს ქართული კალათბურთი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ რაც აქედანვე ცხადია, უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების ოდენობა შემცირდება. რა თქმა უნდა, ყველა ვერ დააკმაყოფილებს სუპერლიგის 40-ათასიან მოთხოვნას — წესდებით, ვინც ამ თანხის საბანკო გარანტიას არ წარმოადგენს, ტურნირში არ დაიშვება.

ჰოდა, სტუ-საც ამის გამო შეექმნა პრობლემები. ტექნიკოსების საქმე ახლახან გადაწყდა: „მეორე დღეა, რაც ვარჯიშს შევუდექით, მანამდე არ იყო ცნობილი, ვითამაშებდით თუ არა სუპერლიგაში — გვითხრა სტუ-ს ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა — ჯერჯერობით არ ვიცით, გამოვალთ თუ არა დუდუ დადიანის ტურნირზე, თუმც ამ ეტაპზე მთავარი ის იყო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში გვეთამაშა".

სუპერლიგაში კი იქნება, მაგრამ სტუ-ს, ალბათ, მოკრძალებული ამბიცია ექნება. შარშან ნაჩემპიონარი გუნდი წლეულს პლეი ოფში გასვლისთვის თუ იბრძოლებს. ისეთი შემადგენლობა ჰყავს, ალბათ, შორს ვერ წავა — სტუ ძირითადად ჭაბუკებით იქნება დაკომპლექტებული. ტექნიკოსებს ეყოლებათ კადეტთა ნაკრების რამდენიმე წევრი, თუმც მათგან ყველაზე გამორჩეული, ალეკო ძიძიგური, ტრავმირებულია და, ალბათ, 2 თვე სტუდენტებს ვერ დაეხმარება.

მთავარი სატრანსფერო სიახლე კი სტუ-ში სერგო ათუაშვილის გადასვლაა. ეს 223-სანტიმეტრიანი ცენტრი გასულ სეზონში პორტუგალიურ „ბარეირენშეში" თამაშობდა და ახლა სტუ-ს ფარს გაამაგრებს.

**ირაკლი პერტაია**

# ამერიკული კალათბურთის შავი სექტემბერი

**2006 წელი** ერთობ უიღბლო გამოდგა ამერიკელი სპორტსმენებისთვის. შტატების რაგინდარა სპორტის წარმომადგენლები შეთანხმებულებივით აგებენ საერთაშორისო სარბიელზე. კალათბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში საბერძნეთთან დამარცხდნენ, ველომრბოლმა ფლოიდ ლენდისმა ტურ დე ფრანსი კი მოიგო, მაგრამ დოპინგზე ჩავარდა და მალე, ალბათ ტიტულს ჩამოართმევენ. არც მძლეოსნობაში და ჩოგბურთში ამერიკელებს აქვთ ოქროს სეზონი. თვით ბეისბოლისტებმაც კი წააგეს კუბასთან. მოკლედ, შავი დროება უდგათ.

საერთო ფეხის ხმას აჰყვნენ ქალი კალათბურთელებიც, რომლებიც კაცთა დარად მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დაეცნენ. კაცებისგან განსხვავებით, ქალთა ნბა-ს ვარსკვლავები ამ შავ დღემდე კარგა ხანი დაუმარცხებლად მიდიოდნენ. მათ 1994 წლის შემდეგ არ წაეგოთ, მოგებები კი ოლიმპიდებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ზედიზედ 51 მოუგროვდათ.

ახლა ქალბატონი ნბა-ელები ბრაზილიაში მიმდინარე მუნდიალზე ნახევარფინალამდე იოლად მიგოგმანდნენ, ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში კი რუსებს დაეჯახნენ, რომლებიც ქალთა კალათბურში ამერიკელთა შემდეგ უძლიერესებად ითვლებიან. რუსი ქალები მრავალჯერ დამარცხებულან ამერიკელებთან, მაგრამ ახლა ყოჩაღად დაუდგნენ მათ და თავიდანვე აგრძნობინეს, რომ გოჯსაც არ დაუთმობდნენ. ისინი პირველივე მეოთხედში 12 ქულით დაწინაურდნენ. მართალია, ამერიკელებმა დიდ შესვენებამდე 5 ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ მესამე მეოთხედში 6:21 განადგურდნენ და მერე მთელი დარჩენილი ბოლო 10-წუთეული ამაოდ ცდილობდნენ მარცხისგან თავის დაღწევას.

საბოლოოდ რუსებმა 75:68 იძალეს და ფინალშიც ისინი გავიდნენ. არადა, ამერიკელებმა ამავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოასწრეს რუსთა დამარცხება — 90:80, მაგრამ რა მისჭირდათ, მაშინ ვერ გამოიჩინეს ფხა. რუსები ფინალში ავსტრალიელებს შეხვდებიან, რომლებმაც მეორე, არანაკლებ დაძაბულ მეოთხედფინალურ ჯახში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ბრაზილიელებს სძლიეს.

**კოტე ყორშია**



AFP





# კოკაი კატიკოსს მიუახლოვდა, ასასიორიუ — თასს

**დადებით** ბალანსამდე — კატიკოსამდე ლევან ცაგურიას ქულაღა აშორებს. გუშინ სექტემბრის ბაშოს მეცამეტე ტური ჩაჭიდავდა და კოკაიმ ნულოვანი ბალანსი კვლავ გაიდადებითა. კომუსუბის წოდების შესანარჩუნებლად ჩვენებურმა დღეს და ხვალ ჩასატარებელი ორი ბრძოლიდან ერთი აუცილებლად უნდა მოიგოს.

მეშვიდე გამარჯვება კოკაიმ ექსკომუსუბი ფუტენოსთან მოიპოვა — მეტოქე სასტარტო შეტევით მაყურებლებში გადაუძახა, დღეს კი თავისზე მაღალრეიტინგიან დევკაც სეკოვაკე კოტომიცუკის დაუპირისპირდება.

„იმპერატორის თასის" ფავორიტებში აშკარა ლიდერი გამოიკვეთა. ტიტულთან ყველაზე ახლოს, რაღა თქმა უნდა, იოკოძუნა ასასიორუა, რომელმაც გუშინ მთავარი კონკურენტი ჩამოიცილა. მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა" მიმდინარე ბაშოზე თავის მთავარ კონკურენტს ალმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირას, ამას სწრაფადვე მოუმთავრა საქმე. 115-კილოგრამიანი ამა ისევ წონამ დაალალატა — ასასიორუმ უპრობლემოდ აიტაცა ხელში და საჭიდაო ხაზს მიღმა გადაისროლა.

დღეს იოკოძუნა ოძეკი ტიოტაიკაის პირისპირ დადგება და თუ ისიც ამას დღეში ჩააგდო, თასს ვადაზე ადრე დაიბევებს. ალბათ ასეც იქნება. აქამდე ოცდახუთი შეხვედრიდან „ცისფერ დრაკონს" ტიოტაიკაი ოცჯერ წაუქცევია. ასასიორუს გაჩემპიონება დარჩენილი ორი ბრძოლის წაგების შემთხვევაშიც კი შეუძლია, თუ ამას ერთხელ მაინც დაუცდება ფეხი. ეს უკანასკნელი ბოლოსწინა ტურში ოძეკი ტოჩიაძუმას ხვდება.

გაიოკოძუნებაზე მეოცნებე ხაკუხომ კი მორიგი იმედგაცრუება იწვნია. 21 წლის ოძეკიმ კოკუგიკანურ ბაშოზე მეხუთე ქულაც დაკარგა და იოკოძუნას კანდიდატის სახელიც. ასასიორუს გვერდით წამოსკუპებას ხაკუხო უკვე ნოემბრის ბაშოზეც ვეღარაფრით შეძლებს, სულაც თხუთმეტი ქულა რომ აიღოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# კლუფტმა შვიდჭიდში პოკერი გაშალა

**მძლეოსნობის** სეზონი იწურება და სპორტის ამ სახეობის მმართველი ორგანო იააფ-იც ვალებს გასცემს. გუშინწინ დიდი თავყრილობა ჰქონდათ მრავალჭიდელებს — კაც ათჭიდელებს (დეკატლონი) და ქალ შვიდჭიდელებს (ჰეპტატლონი). იააფ-მა მათ რჩეულ წარმომადგენელთა სეზონური შედეგები შეაჯამა და დაადგინა, რომ წლის უძლიერესი ათჭიდელია ყაზახი დიმიტრი კარპოვი, ხოლო შვიდჭიდელი — შვედი კაროლინა კლუფტი და ორივეს 30 000-დოლარიანი ჩეკი გადაეცა. საუკეთესოები და მათ სიახლოვეს მოტრიალეები კი სეზონის განმავლობაში ნაჩვენები სამი საუკეთესო შედეგის მიხედვით დადგინდა.



AFP

კაროლინა კლუფტი ზედიზედ მეოთხედ გახდა ქალთა შორის საუკეთესო. ეს შვედგოგო არავის უთმობს ტახტს და ყულაბაში უმაღლესი რანგის ტურნირებზე მონაგრებული ოქრო უჩხრიალებს. ის ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის მოქმედი ჩემპიონია და მრავალი დიდრონი შეჯიბრი მოუგია. მათგან წლევანდელი სამი საუკეთესოს შედეგების ჯამმა 20 124 ქულა შეადგინა. მეორეადგილოსანს, ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ იუნის ბარბერს 19 232 ქულით მეორე ადგილი და 20 ათასი შეხვდა. მესამე ადგილი და 15 ათასი გერმანელ ანა შვარცკოფს ერგო.

კაცებში დიმიტრი კარპოვი პირველად გახდა სეზონის საუკეთესო ათჭიდელი — წინა ორ სეზონს ჩეხი ოლიმპიური ჩემპიონი რომან სებრლე თავადობდა. ახლა კი მას სამი საუკეთესო ტურნირის ჯამში 25 029 ქულა შეუგროვდა და 20 ათასი დოლარის მომტანი მეორე ადგილი შეხვდა. კარპოვმა 25 145 ქულით 30 ათასი ჩაიჯიბა, მესამე ადგილი კი უნგრელმა ატილა ჟივოჩკიმ დაიჭირა.

**კოტე ყორშია**

## იან ჰომერის თასი ჰარდი. საპრიზო 10 000 $



ამინა რახიმი

# სტაბილურობა ყაზახურად

## სოფო შაფათავას ფინალამდე ერთი სეტი დააკლდა

**ნახევარფინალი**

ანა ლაპუშენკოვა (1, რუსეთი) — ალექსანდრა მალიარჩიკოვა (ბელარუსი) 6:3 6:3; ამინა რახიმი (ყაზახეთი) — სოფო შაფათავა (საქართველო) 6:2 2:6 6:1

**პირველი** „იან ჰომერის თასი" საქართველოში ვერანაირად ვეღარ დარჩება. 10-ათასდოლარიან ტურნირს ბოლო ქართველი გუშინ, ნახევარფინალში დაემშვიდობა, დღეს კი რუსულ-ყაზახური ფინალი შედგება. 17 წლის სოფო შაფათავას ჩემპიონობამდე ორი ნაბიჯი დააკლდა. არადა, ბოლო დღეებში ისე მარჯვედ ითამაშა, ვიფიქრეთ, სულ ცოტა, ფინალში გასვლა გარანტირებული ჰქონდა — მთავარი კონკურენტები ადრიდანვე ჩამოიცილა, შეჯიბრს შერჩენილი ერთადერთი განთესილი ჩოგბურთელი კი ბადის მეორე მხარეს იყო.

სოფო ყაზახმა ამინა რახიმმა შეაჩერა. თბილისური საჩოგბურთო ორკვირეული ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ რახიმი ყველაზე სტაბილური ჩოგბურთელია. „ბორჯომის თასზე" ნახევარფინალში, მომავალ ჩემპიონ ვარვარა გალანინასთან დამარცხდა, ახლა კი უფრო წინ წასვლაც შეძლო და იმავ გალანინასთან რევანშის აღებაც მოასწრო.

შაფათავასთან ამინა თავიდანვე დაწინაურდა — 2:0, მაგრამ უპირატესობა ორიოდ წუთში გაუნიავდა — შემდეგი ორი გეიმი ქართველმა მოიგო. თამაშის სათავისოდ შეტრიალება კი სოფომ ვეღარ შეძლო. წვრილთვალება სტუმარმა სეტი ლამის უშეცდომოდ მიიყვანა სასურველ ბოლომდე — 6:2.

მეორე სეტიც ანალოგიური ანგარიშით დასრულდა. თან მასშიც 2:2-ის შემდეგ აიწყვიტა მომგებმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თამაშს უკვე ტრიბუნების ფავორიტი კარნახობდა.

გადამწყვეტ სეტში რახიმი გაცილებით უკეთესად ათამაშდა. ბევრი რთული ბურთიც ჩააგდო და უფრო მეტჯერ ჩვენებურს დააშვებინა შეცდომა. სოფომ ბოლოს 1:5-ზე გაიბრძოლა — მეტოქეს მატჩბოლი ხუთჯერ არ დაანება, მაგრამ სხვაობის შემცირებამდე საქმე მაინც ვეღარ მიიყვანა.

მეორე ნახევარფინალი ლოგიკურად დასრულდა. ტურნირის პირველმა ნომერმა ანა ლაპუშენკოვამ ზორბა ბელარუსს, ალექსანდრა მალიარჩიკოვას უპრობლემოდ დაახრევინა ჩოგანი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ფინალი**
დღეს 12 საათი
ლაპუშენკოვა — რახიმი

## დევისის თასი 2006

მსოფლიო ლიგა. ნახევარფინალი. 22-24 სექტემბერი

# თიხის ამბავი

## რუსეთი რეკავს, ამერიკა გაიბზარა

**რუსეთი 2:0 აშშ**

მარატ საფინი — ენდი როდიკი 6:4 6:3 7:6
მიხაილ იუჟნი — ჯეიმს ბლეიკი 7:5 1:6 6:1 7:5

**არგენტინა 1:0 ავსტრალია**

დავიდ ნალბანდიანი — მარკ ფილიპუსისი 6:4 6:3 6:3
ხოსე აკასუსო — ლეიტონ ჰიუიტი 1:6 6:4 4:6 6:2 4:0 (გადაიდო)

**მოსკოვში** დევისის თასის ნახევარფინალის პირველი დღე მიილია და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სპეციალისტთა უმრავლესობა ვარაუდობდა, თუმც ნოსტრადამუსობა არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ გრუნტის მოძულე ამერიკელებს „ოლიმპიისკის" თიხაზე ძალიან გაუჭირდებოდათ. იანკთა ერთადერთი იმედი ისლა იყო, რომ შეიძლებოდა მასპინძლებს ჩავარდნა ჰქონოდათ და სასურველ დონეზე ვერ ეთამაშათ.

ნურას უკაცრავად. მთელი წლის განმავლობაში არასტაბილურად მოთამაშე მარატ საფინიც ისეთივე შთამბეჭდავი იყო, როგორც თავის საუკეთესო სეზონებში. ჰოდა, როდიკს რა უნდა დაეპირისპირებინა — ენდი-ბოის თამაში ხომ დიდწილად მის ზემძლავრ მოწოდებაზეა დამოკიდებული. გრუნტზე კი ეს ფაქტორი მეორეხარისხოვანი ხდება, რადგანაც ბურთი ერთიორად ნელა მოძრაობს. ჰოდა, ასეთ პირობებში როდიკს აშკარად არ გააჩნია საკმარისი არსენალი საფინის დასამარცხებლად.

ამიტომაც იყო, რომ გუშინდელ შეხვედრაში როდიკს ბევრი არაფერი გამოუვიდა და რუს მაყურებელს თავი მხოლოდ ისტერიკებითა და მსაჯთან კამათით დაამახსოვრა.

უკეთეს მდგომარეობაში არც ჯეიმს ბლეიკი აღმოჩნდა. შავტუხა ამერიკელი წლეულს ძალიან სოლიდური კი იყო, მაგრამ ეს გრუნტს არანაირად არ ეხება. ასე განსაჯეთ, წლეულს „როლან გაროსზე" მეოთხე წრეში გასვლა პირველად შეძლო, მანამდე კი მეორე წრეს არ გასცილებოდა.



ამ ყველაფრის მიუხედავად, ბლეიკმა გაცილებით ღირსეულად ითამაშა და მოულოდნელად რუსთა პირველ ნომრად ქცეულ მიხაილ იუჟნის ნაღდი ბრძოლაც გაუჩაღა, მეორე სეტში კი პირწმინდად მიწასთან გაასწორა თავისი მეტოქე... მაგრამ ეგ იყო და ეგ. იმის მერე უკვე მხოლოდ იუჟნი თამაშობდა — მოსკოველმა მესამე პარტიაში საპასუხო ქარიშხალი მოაწყო კორტზე, მეოთხეში კი ბოლოსკენ გატეხა ამერიკელი და მასპინძლებსაც უსერიოზულესი უპირატესობა მისცა.

ასე რომ, რუსები 2:0-ს იგებენ და ამერიკელებს ჰერაკლეს დარი გმირობის ჩადენა მოუწევთ ამ ღრმა ორმოდან ამოსაძრომად. პირველი რიგში, იანკებს ტყუპმა ძმებმა ბობ და მაიკ ბრაიანებმა უნდა უშველონ და პატარა იმედი მაინც მისცენ კვირისთვის. რუსებს კი პირიქით, უკვე დღესვე შეეძლებათ ფინალის საგზურის განაღდება.

არც ბუენოს-აირესში მომხდარა რამე მოულოდნელი — მოგეხსენებათ, იქაც გრუნტის მოყვარულთა და მტერთა ჯახი მიდის, თანაც მოსკოვისნაირი სცენარით. თიხნარის სპეციალისტმა დავიდ ნალბანდიანმა სამ სეტში გადაურბინა მარკ ფილიპუსისს და პატაგონიელებმაც პირველი სადევისო ფინალისკენ პირველი ნაბიჯი გადადგეს.

**ქახა ლომაშვილი**

# კუზნეცოვამ ნა ლი გამოჭედა

**ქალები**
პეკინი. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**მეოთხედფინალი**

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 6:4 6:3; ელენა იანკოვიჩი (6, სერბეთი) — ნადია პეტროვა (3, რუსეთი) 6:4 4:6 6:2; სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) — ნა ლი (7, ჩინეთი) — 6:4 4:6 6:4; შუაი პენგი (ჩინეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 7:6 3:6 6:2

**ქალები**
კალკუტა. ინდოეთი. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**მეოთხედფინალი**

მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 7:5 6:2; ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 7:5 6:3; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 4:6 6:2 6:2; სანია მირზა (5, ინდოეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:4 7:5

**ორიოდე** წლის წინ ლინდსი დევენპორტისა და ამელი მორესმოს შეხვედრაში ძალთა განლაგება რადიკალურად საპირისპირო იქნებოდა, მაგრამ არა წლეულს, როცა ფრანგი კარიერის საუკეთესო თამაშს აჩვენებს და ამიტომაც სეზონის უდიდესი ნაწილი რეიტინგის სათავეში გაატარა. ამერიკელმა კი დროის იგივე მონაკვეთი ლაზარეთში დაჰყო.

ამიტომაც გუშინ ფავორიტმა იმარჯვა და თან საკმაოდ იოლად. მორესმო თავიდან რომ ჩაირთო, აღარ გაჩერებულა და მატჩი ისე ჩაამთავრა, ეჭვიც კი არავის გასჩენია, ვინ მოიგებდა ამ შეხვედრას. დევენპორტმა ვერაფერი დაუპირისპირა ფრანგის უძლიერეს მოწოდებასა და უკანა ხაზიდან წარმოებულ უძლიერეს შეტევებს.

მორესმოს მომდევნო მეტოქე Us open-ზე თავგამოჩენილი ელენა იანკოვიჩი იქნება, რომლისთვისაც ავტორიტეტი აღარ არსებობს და ძალიან ლაღადაც ირჯება. ამჯერად სერბმა ნადია პეტროვას გამოუყვანა წირვა და მორესმოსთან რანდევუც გაინაღდა.

მასპინძლების იმედი უმოწყალოდ ჩაკლა სვეტლანა კუზნეცოვამ. ერთი კვირის წინ ბალიზე ნატრიუმფალი რუსი პეკინშიც ძალიან სოლიდურად გამოიყურება და აქაც პირველობისკენ მიიჩქარის. ისე, კუზნეცოვას მართლა ძალიან ძნელი მეტოქე კი ჰყავდა — ნა ლი შეიძლება, ტოპმეჩოგნეებს არ მიეკუთვნებოდეს, მაგრამ წლეულს პროგრესირებს და თანაც მშობლიური ტრიბუნების მხარდაჭერით გულმოცემულს ნებისმიერის დამარცხება ხელეწიფებოდა. თუმც რუსმა არაფერს მიქცია ყურადღება და საკმაო წვალების მიუხედავად, ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდა.

ჩინელები ამიერიდან მხოლოდ შუაი პენგის იმედზეღა არიან, რომელმაც აი სუგიამა სამ სეტში დასცა და რევანშის აღება ეცდება კუზნეცოვასთან, თუმც ძალიან საეჭვოა, რაიმე გამოუვიდეს.

**ქახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge